ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 11 ნოემბერი, 2022 №223 (9001) ფასი: 80 თეთრი

## ვინ არის პედოფილიის მცდელობაში ბრალდებული ქართველი რეპერი, რომელიც ფსიქიატრიულში გადაიყვანეს

გვ.2



# „ვურჩევ ჩვენს მთავრობას, ახლა გვაქვს შანსი, უკრაინასთან ურთიერთობა გამოვასწოროთ!“







გვ.3

„რუსეთის მარცხის დასაწყისი დაიწყო მას შემდეგ, რაც კიევის შემოგარენი დატოვეს და დაიხიეს უკან. შემდეგ იყო ხარკოვი, ახლა არის ხერსონი...“

ვალერი ჩეჩელაშვილი: „ასეთი რეფორმებით კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ!“





გვ.3

## „ნიკა მელია თუ წავაგებს, ალბათ ნაციონალებს დატოვებს“

რამაზ საყვარელიძე: „ვისაც სააკაშვილის სახელი დაუკავშირდება, ამომრჩეველიც მას გაჰყვება. ახლა სააკაშვილის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს“



გვ.2

## „რა იდეების გარშემო ერთიანდებიან ზურა ჯაფარიძე და გიორგი ვაშაძე, გაუგებარია“

იაგო ხვიჩია: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების იდეას“

## სამხრეთ კავკასიაში აშშ აქტიურდება

წლის ბოლომდე, შესაძლოა, ვაშინგტონის შუამავლობით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო შეთანხმება მოხდეს

გვ.4



## დათო ლორთქიფანიძე: „ნაცმოძრაობის თავმჯდომარე, დარწმუნებული ვარ, ხატია დეკანოიძე იქნება“



გვ.4

გვ.5



სასამართლომ ნიკოლოზ გოგაშვილს ადკვეთის ღონისძიებად 10.000-ლარიანი გირაო შეუფარდა



იოსებ მგელაძე: „არცერთ კომპანიას არავითარი კავშირი არა აქვს ქოლცენტრებთან“



ქვბნაში მყოფი მელაძე: „დამაკინეს, თაღლითი შემარქვეს, გამძარცვეს, ჩემს შვილთან ბედნიერი წუთების წამართვეს“

2 ზვიად ძიძიგური: „ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებისთვის „სავარჯიშო მსხლის“ ფუნქციას ასრულებს“

5 „ქურდული რაზბორკები“ თბილისსა და ზუგდიდში

6 რა ხდება რუსეთის არმიაში?!

5 დაკავებულია ჰომოფობი — თავდასხმა და ძალადობა ავტობუსში

1993230720223

# „რა იდეების გარშემო ერთიანდებიან ზურა ჯაფარიძე და გიორგი ვაშაძე, გაუგებარია“

## იაგო ხვიჩია: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების იდეას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იაგო ხვიჩია პასუხობს.

***– იაგო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ევროპარლამენტიდან საკმაოდ მძიმე რეზოლუციები მოდის, თუმცა ხელისუფლება ამ შენიშვნებსა და კრიტიკას არაფრად აგდებს. რა უნდა „ქართულ ოცნებას“?***

– მე მგონი, ეს შენიშვნები მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ჩვენ ფიზიკურად ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ არ გაგვეგო ის რჩევები, რომლებიც 12 პუნქტის სახით მოგვაწოდეს. რალაცნაირად ვცდილობდით, ეს ყველაფერი ერთმანეთზე გადაბრალებით გაგვევლო. მაგალითად, დეოლიგარქიზაცია ამისთვის იყო ძალიან კარგი მაგალითი. ნაცვლად იმისა, რომ სხვანაირად შეგვეხედა ამ საკითხისთვის და კონსესუსური მოდელი გვეპოვა, როგორ შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება, ჩვენ ვთქვით, რომ ოლიგარქი ჩვენიანი კი არ არის, მოწინააღმდეგეა ოლიგარქი. აი, ამ პრინციპით ვიმოქმედეთ და ეს წინარე პროცესი ვატარეთ სულ სხვა მორალით, ვიდრე უნდა გაგვეტარებინა, რასაც მიგვიხვდნენ და გვითხრეს, ასე არ შეიძლება მოქმედება, სხვანაირად უნდა მოიქცეთო. შანსი კიდევ გვაქვს და დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული, ქართულ მხარეზე.

***– აპირებს რაიმეს შეცვლას ხელისუფლება? მათი გაკეთებული განცხადებებიდან ეს არ იგრძნობა.***

– ვერ გეტყვით. მე ხელისუფლების თავში არ ვზივარ, მაგრამ ჯერჯერობით რაიმე არსებითი ცვლილებების შესახებ არა მაქვს ინფორმაცია.

***– ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით? გაერთიანებაზე დაიწყეს საუბარი და აქაც პირველობისთვის მიმდინარეობს ბრძოლა. მოხერხდება ერთობა? გამოვა რამე აქედან?***

– ოპოზიციის ლიდერებმა ჯერ უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდათ მათ. როგორც კი ამას ჩამოაყალიბებენ, მერე შეიძლება გამოჩნდეს გზები, რამე ერთობა შეიკვრება აქედან თუ არა. შესაბამისად, ჯერჯერობით არც კი უთქვამთ პოლიტიკურ პარტიებს, რა უნდათ, საითკენ მიდიან, რა გეგმები აქვთ, როგორ აპირებენ დაშვებული შეცდომების გათვალისწინებას. ამ კითხვებზე სანამ პასუხი არა გვაქვს, მე მიჭირს გიპასუხოთ, რა მოხდება ცოტა ხანში. აზრზე უნდა მოვიდნენ ჩვენი კოლეგები როგორც ოპოზიციიდან, ისე ხელისუფლებიდან. მოვლენ თუ არა აზრზე, წარმოდგენა არა მაქვს.



„ვინც არ უნდა იდგეს ქოლცენტრების უკან, „ქართული ოცნების“ სათანადო კურთხევის გარეშე ეს სქემა ვერ იმუშავებდა“

***– ერთობას, რომელიც ვაშაძის გარშემო ყალიბდება, ჯერჯერობით უნდობლად უყურებთ?***

– მე შემიძლია, წარმატებებიც ვუსურვო. უბრალოდ, ნაკლებად მჯერა ამის. ეს არ არის დიდხნიანი პროექტი, დარწმუნებული ვარ, საბოლოო ჯამში, არც კი შეიკვრება და შეიძლება დაიშალონ კიდეც, სანამ რამე ხმაურიან სიტყვებს იტყვიან.

***– ბევრმა ისიც თქვა, რომ ეს არის კეზერაშვილის ფულის გარშემო გაერთიანება. თქვენ რას იტყვით?***

– რა იდეების გარშემო ერთიანდებიან ზურა ჯაფარიძე და გიორგი ვაშაძე, გაუგებარია. პლუს ჩვენ ვხედავთ, ნაცმოძრაობის შიგნით რა პროცესებია. მე ვფიქრობ, რომ, შესაძლოა, გამორიცხული სულაც არ იყოს ეს ვერსია. უბრალოდ, ზუსტი ინფორმაცია რადგანაც არა მაქვს, არ მინდა ჩავერიო და ვიჭორაო.

***– ნაციონალები ახსენეთ და რა ხდება ამ პარტიაში? კულუარებს გასცდა ეს დაპირისპირება და ტელევიზიით მოუწოდებენ მელიას გადადგომისკენ. რა დაემართა ნაციონალურ მოძრაობას?***

– ბევრი რამე, ჩემი აზრით. დიდი ხანია, ისინი არასწორად ცხოვრობენ და ეს ამ კრიზისამდე აუცილებლად მიიყვანდა. დიდი ხანია კრიზისია ნაცმოძრაობაში და ბოლო ორწელიწად– ნახევარში კიდევ უფრო მეტად ჩაეფლო თავისი გაუაზრებელი პოლიტიკით. სწორედ ამის შედეგია, მიხეილ სააკაშვილი რომ ციხეშია და ის, რომ ვერაფერს ვერ აკეთებენ ამ სიტუაციის შესაცვლელად. ცვლილებების დრო დიდი ხნის წინ დადგა ნაციონალურ მოძრაობაში. მე არ ვიცი, ახლა ეს ცვლილებები რამდენად უშველის ქართული პოლიტიკური სივრცის გაჯანსაღებასა და ნაცმოძრაობის გამოყვანას ამ კრიზისიდან, მაგრამ ნაბიჯი გადასადგმელია და მინიმუმ საცდელია, რამე გამოვა თუ არა. შესაძლოა, ნაცმოძრაობის სწორი მიმართულება სწორედ დაშლისკენ სვლა იყოს.

***– შესაძლოა, სწორედ დაშლის პროცესი დაიწყო?***

– ეს პროცესი დაწყებულია. უბრალოდ, ბოლომდე მივა თუ არა და რა ფორმით მივა, ეს არ ვიცით. ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც არ უნდა გადაიდგას, ნიკა მელიას წასვლა იქნება ეს თუ დანარჩენებისა, ვინც მელიაზე გაბრაზებულია, საბოლოო ჯამში, ეს მაინც ნაცმოძრაობის დაშლას წააგავს. ნაცმოძრაობა ან ისე უნდა ტრანსფორმირდეს, რომ მათთან თანამშრომლობა სირცხვილი არ იყოს სხვა პოლიტიკური ძალებისთვის, მათ სიტყვას რომ ფასი და აზრი ჰქონდეს, ან, უბრალოდ, მათთან თანამშრომლობას ნაკლებად ექნება აზრი.

***– ნაციონალური მოძრაობის ეს მდგომარეობა დანარჩენ ოპოზიციას რამდენად აზიანებს?***

– გაურკვევლობა აზიანებს ყველას. როდესაც გაურკვევლობა არის შენ მხარეს, ეს შენ გაზიანებს. ჩვენ რეალურად გვყავს დიდი პოლიტიკური ძალა ნაცმოძრაობის სახით და ის არის სრულიად პარალიზებული საკანონმდებლო ორგანოში. ის ვერ ქმნის კომისიასაც, ვერ მონაწილეობს დებატებში, დისკუსიებში. მათ წარმომადგენლებს მარტივად ჩაგრავენ „ოცნების“ წარმომადგენლები არათანმიმდევრული პოზიციისა და ბევრი რალაცის გამო. მე ვფიქრობ, ზოგადად ამ მდგომარეობაში დარჩენა არის პრობლემა და ეს ნელ-ნელა ასუსტებს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს და ნაცმოძრაობას მათ შორის. ეს შესაცვლელია. რა გამოვა აქედან და რამდენად პერსპექტიული იქნება ნაცმოძრაობის მომავალი, ვერ გეტყვით, მაგრამ, არსებულის შენარჩუნება რომ კატასტროფისკენ წაიყვანს ყველაფერს, ფაქტია!

***– მელიამ დაუშვა სერიოზული შეცდომები თუ ეს არის გარედან ჩარევა და მცდელობა მელიას მოსაშორებლად?***

– ერთიც და მეორეც, ჩემი აზრით. არც მელიას არ დაუშვია ცოტა შეცდომა, პირიქით, შეცდომებით იარა ეს ორი წელიწადი და, მგონი, ბევრი არ იტყვის უარს მელიას გვერდზე გაწევაზე. ამიტომ ორივე გარემოების ერთობლიობაა.

***– სახალხო დამცველის არჩევის პროცედურა იმართება პარლამენტში. ამ მხრივ რა ხდება, რას ელით?***

– ამწუთას რა პროცესები მიმდინარეობს, ჩემთვის უცნობია. ეს კვირა უნდა ყოფილიყო თითქოს კონსულტაციების კვირა, თუმცა ჩემთან არავინ არ გამოჩენილა. ეს პროცესი ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებმა ამ ორი დღის განმავლობაში ცოტა გვერდზე გასწია, აქტუალურობა დაუკარგა.

***– ქოლცენტრების საქმეზე დიდი ამბებია. „ოცნება“ კეზერაშვილისკენ იშვერს ხელს. რა ხდება რეალურად?***

– ვინც არ უნდა იდგეს ქოლცენტრების უკან, „ქართული ოცნების“ სათანადო კურთხევის გარეშე ეს სქემა ვერ იმუშავებდა. ამიტომ, ვისაც რა უნდა დააბრალოს „ქართულმა ოცნებამ“, პირველი ბრალდებული არის თვითონ ამ ყველაფერში. მე არ ვიცი, კეზერაშვილი დგას თუ არა ამის უკან, რა წილი მისდის მას ან არ მისდის. არ მინდა, ვინმეს ცილი დავწამო, თუმცა ერთი რამ ვიცი, ასეთი ტიპის ორგანიზებული ჯგუფები, როგორიც იყო ქოლცენტრები, „ოცნებასთან“ შეთანხმებისა და მათი კურთხევის გარეშე ვერ იფუნქციონირებდნენ, გინდა კეზერაშვილი იყოს მესაკუთრე და გინდა სხვა.

***– იაგო, ბოლო დღეებში ძალიან ბევრს საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მესამედ შემობრუნებაზე. რას იტყვით თქვენ, ეს რამდენად ლოგიკურია?***

– ჩვენ ვგულშემატკივრობთ ამ იდეას. გინდათ, არ გინდათ, ეს პასუხისმგებლობა ივანიშვილისაა. „ქართული ოცნების“ ამ შემადგენლობაზე, ასეთ ფორმატზე სწორედ ივანიშვილი აგებს პასუხს. ასევე მისი შემობრუნება კარგი იქნებოდა დეოლიგარქიზაციის საკითხის გადასაჭრელად. ამიტომ მე მხარს ვუჭერ მის დაბრუნებას საჯარო პოლიტიკაში.

## ზვიად ძიძიგური: „ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებისთვის „სავარჯიშო მსხლის“ ფუნქციას ასრულებს“

– ვიდრე ნაციონალური მოძრაობა იმ კონფიგურაციით იქნება, როგორითაც 2016 წლიდან დღევანდელ დღემდე იყო, „ქართულ ოცნებას“ არ გაუჭირდება ხელისუფლების შენარჩუნება, – ამის შესახებ „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა.

ზვიად ძიძიგურის თქმით, ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკაში „სავარჯიშო მსხლის“ ფუნქციას ასრულებს.

– კრივში არის ასეთი ტერმინი – „სავარჯიშო მსხალი“. ნაციონალური მოძრაობა ბოლო რამდენიმე წელია, სახელისუფლებო პარტიისთვის ამ ფუნქციას ასრულებს. ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“ იმ კონფიგურაციით იქნება, როგორითაც 2016 წლიდან დღევანდელ დღემდე იყო, „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლების ისევ შენარჩუნება არ გაუჭირდება.

განახლების საჭიროებას ვხედავ, ოღონდ ამ პარტიაში კი არა, მთლიანად პოლიტიკურ სპექტრში და ვიდრე ეს პარტია მუდმივად ერთსა და იმავე სიტუაციაში იქნება, ერთსა და იმავე წრეზე იტრიალებს, ხელისუფლებაც მეტს არაფერს გააკეთებს და ერთი და იმავე ტექსტებით დაგვღლის – „მე თუ არ ამირჩევთ, მოვა ჩემზე უარესი“, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

ძიძიგურის თქმით, ოპოზიციას ნდობის სერიოზული კრიზისი აქვს და ეს გაგრძელდება თუ ხალხში არ გავა და არ დაელაპარაკება.

– პოლიტიკური პარტიები მუდმივად



რაღაც თემებზე ლაპარაკობენ, დადიან ეთერებში, რალაცას დებატობენ – „ხელისუფლება ცუდია, ევროპისკენ არ მიდის, რუსეთუმეები არიან“, ძირითადად არიან ხელისუფლების ლანძღვა-გინებით დაკავებული, მაგრამ ჩვეულებრივი ამომრჩეველი უყურებს ამას და კითხულობს, შენ რას გააკეთებ? – შენ ხარ დავუშვათ ხელისუფლებაში, რას აკეთებ ჩემთვის, გავიგე, რომ ხელისუფლება ცუდია, რუსეთისკენ მიჰყავს ქვეყანა, დასავლეთს უპირისპირდება, ეს გავიგე, მაგრამ შენ რას გამიკეთებ, შენ რა ჩემი ტიკი-ტომარა ხარ, რატომ უნდა დაგიჭირო მხარი? – ამაზეა პასუხი გასაცემი.

ქართულ ოპოზიციურ სპექტრს აქვს ნდობის სერიოზული პრობლემა მოსახლეობაში და ამ პრობლემის აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ ერთადერთი გზით, უნდა ადგე, ჩაიცვა რკინის ქალამნები, ხელში რკინის ჯოხი დაიკავო და უნდა იარო ხალხში, ქუჩა-ქუჩა, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

ძიძიგურმა გადაცემაში ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტის მიერ საქართველოს შესახებ მომზადებულ რეზოლუციასა და მასზე „ქართული ოცნების“ ლიდერების გამოხმაურებაზეც ისაუბრა.

როგორც ძიძიგურმა აღნიშნა, „ქართული ოცნება“ ევროპელ კოლეგებს ეუბნება, რომ ევროკავშირში უნდა მიგვიღონ ისეთები, როგორებიც ვართ.

– რეალობა იქმნება ისეთი, რომ დღევანდელი ხელისუფლება ჩვენს ევროპელ კოლეგებს სთავაზობს, რომ ევროკავშირში მიგვიღეთ ისეთები, როგორებიც ვართ, აი, მაგალითად: გვინდა არჩევნები გავაყალბოთ იმაზე არანაკლებად, ვიდრე სააკაშვილი აყალბებდა, გვინდა ვუსმინოთ ყველას და ყველაფერს არანაკლებად, ვიდრე სააკაშვილი ამას აკეთებდა, გვინდა, ჯიბეში გვეჯდეს სასამართლო, გვინდა, ჯიბეში გვეჯდეს მედია და ეს ყველაფერი იმიტომ გვინდა, რომ ხელისუფლებაში ვიყოთ უკუნითი უკუნისამდე, სულ უნდა ვიყოთ ხელისუფლებაში და ასეთები მიგვიღეთ ევროკავშირში. ასეთებს, როცა არ იღებენ ევროკავშირში და ხელისუფლებას რეიტინგის პრობლემაც გაუჩნდა, ამის მერე წარმოეშვა კონფლიქტები ევროკავშირთანაც და აშშ-სთანაც, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

## ვინ არის პედოფილიის მცდელობაში ბრალდებული ქართველი რეპერი, რომელიც ფსიქიატრიულში გადაიყვანეს

ქართველი რეპერი, რომელიც პედოფილიის მცდელობაშია მხილებული, ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. არასრულწლოვნებზე სისტემატური ადევნების საქმეზე „პირველებმა“ ექსკლუზიური დეტალები გაარკვია.

37 წლის კაცი, რომელიც მოსწავლეებს სკოლებთან ხვდებოდა და ფულის სანაცვლოდ გასეირნებას სთავაზობდა, პოლიციამ გამოკითხა.

„პირველების“ ინფორმაციით, სწორედ თვითნასწავლი მუსიკოსია მხილებული თბილისის რამდენიმე უბანში, ვარკეთილში, გლდანში, სანზონაში, ასევე სკოლებთან არასრუწლოვნებთან კონტაქტში. ამის მიუხედავად, სამართალდამცველებმა მის მოქმედებებში დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს.

## დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

პუტინის ახირებამ ნებისმიერ ფასად დონბასში რაიმე შედეგის მიღწევის შესახებ ოკუპანტებს შორის მხოლოდ დანაკარგი გაზარდა. დღეისათვის ის შემდეგია: ტანკები – 2.801; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 205 (+2); თვითმფრინავები – 278; ვერტმფრენები – 260; განადგურებულია 80.300 ოკუპანტი.

ასეთია უკრაინის გენშტაბის მონაცემები. პენტაგონის ცნობით, ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთმა 100.000 მეომარი დაკარგა.

– ამიტომაც რუსეთმა ხერსონი დატოვა! მათ ქალაქის შესანარჩუნებლად, უბრალოდ, ძალა აღარ ჰქონდათ, – მიიჩნევს პენტაგონი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვურჩევ ჩვენს მთავრობას, ახლა გვაქვს შანსი, უკრაინასთან ურთიერთობა გამოვასწოროთ!“

## ვალერი ჩეჩელაშვილი: „ასეთი რეფორმებით კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ელჩი ვალერი ჩეჩელაშვილი პასუხობს.**

***– ბატონო ვალერი, როგორ აფასებთ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს? რუსებმა ხერსონი დატოვეს. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– ჯერ ერთი, ამ შეფასებისთვის საკმარისი იქნება დავაკვირდეთ, ნაცრისფერი სახით ამის ანონსირებას როგორ ახდენდა ბატონი შოიგუ. გასაგებია, რომ ეს არის სერიოზული მარცხი. არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკური მარცხიც, რომლის შენიღბვისკენაც ახლა მიმართულია მთელი რუსული პროპაგანდისტული მანქანა. მეორე მხრივ, მე დავაკვირდებოდი იმას, თუ როგორი რეაქცია აქვთ უკრაინელებს. ძალიან თავშეკავებული, ძალიან მოზომილი. არავითარი ზედმეტი აჟიოტაჟი ამასთან დაკავშირებით არ არის შექმნილი. თავიანთ დღის წესრიგს მიჰყვებიან და თანდათანობით მდგრადად ათავისუფლებენ ოკუპირებულ ტერიტორიებს. ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ უკრაინელები იქცევიან ძალიან სერიოზულად, კარგად აქვთ მოფიქრებული სტრატეგია, საკუთარი ტაქტიკური სვლები, კარგად აქვთ გაწერილი მოქმედების გეგმა. შესაბამისად, ეს არის იმის გარანტია, რომ უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს ამ ომში. ვინც ფსონს დებდა იმაზე, რომ რუსეთი გაიმარჯვებდა, რეალისტურად უნდა გადააფასოს საკუთარი შეცდომა და აქედან გამომდინარე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები და გამოიტანოს გაკვეთილები.

***– გვესმის შეფასებები, რომ სწორედ „ქართული ოცნება“ დებდა ფსონს რუსეთის გამარჯვებაზე და ახლა არ მოსწონთ შექმნილი ვითარება. რამდენად მოეგებიან გონს და შეიცვლიან პოზიციას?***

– მე ვფიქრობ, რომ უმრავლესობაში ანუ მმართველ პარტიაში ამ საკითხის მიმართ მონოლითურობა არ არის. იქ არის ხალხი, რომელიც ღიად არის გაღიზიანებული რუსეთის წარუმატებლობით ამ პროცესში და იქ არის ხალხი, რომელიც ძალიან გულწრფელად არის განწყობილი უკრაინის მიმართ და, ასე ვთქვათ, უხარია უკრაინის გამარჯვება. ახლა მთავარია, ვინ აიღებს უმრავლესობას მმართველ პარტიაში და ვისი აზრი იქნება უფრო ძლიერი. ამ ყველაფერს კი ხელს უწყობს უკრაინის ჯარის გამარჯვება. უკრაინის მხარდამჭერთა არგუმენტები გაცილებით მყარია, მეტი დინამიზმითა და დამაჯერებლობით გამოირჩევა, ვიდრე მათი, ვინც ფსონს დებდა რუსეთის გამარჯვებაზე. ბრმაც კი დაინახავს იმას, რომ რამშტაინის ჯგუფის 50-ქვეყნიან კოალიციას ნამდვილად ვერ გაუწევს წინააღმდეგობას რუსეთი, თანაც, უკრაინელი ხალხის ამისთანა გმირული ბრძოლის ფონზე.

***– დროში რამდენად დიდხანს გაიწელება ეს პროცესი, რამდენად მძიმე ზამთარი ელის უკრაინას?***

– უკრაინას სერიოზულად მძიმე ზამთარი ელის. ბრძოლის ველზე ვერაფერს გახდნენ რუსები და, შესაბამისად, დარტყმები გადაიტანეს, ასე ვთქვათ, კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე. სერიოზული ზიანი მიაყენეს უკრაინის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, განსაკუთრებით – ენერგეტიკულს, მაგრამ განწყობა არის საოცარი კიევშიც და საერთოდ უკრაინაში. მე ვფიქრობ, რომ უკრაინელებს ამით ვერ შეაშინებენ. ამ კონტექსტში ძალიან კარგი, უნიკალური შანსია საქართველოს მთავრობისთვის.

***– რას გულისხმობთ?***

– მთავრობამ ან მუნიციპალიტეტებმა, თუნდაც ორივემ ერთად რომ მიიღოს გადაწყვეტილება და სერიოზული ძლიერი გენერატორი სპეციალური რეისით რომ გაუგზავნონ, როგორც ჰუმანიტარული დახმარება უკრაინას, ეს იქნება ძალიან დროული და კარგი ნაბიჯი, რომელიც ძალიან დაგვეხმარება იმაში, რომ გამოვასწოროთ ეს ერთობ გაუარესებული ურთიერთობები უკრაინასთან. მე ვფიქრობ, ეს დღეს საქართველოს არანაკლებ ესაჭიროება, ვიდრე უკრაინას.

***– მიიღებს ჩვენი ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას, თუნდაც იმიჯის გამოსასწორებლად?***

– მე ვფიქრობ და ჩემი ვალდებულებაა, როგორც ექსპერტის, ის, რასაც ვთვლი საჭიროდ, ვურჩიო ჩემს მთავრობას. ამას ყურად იღებენ თუ არა, მეორე საკითხია. მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ არის მმართველ გუნდში ფრთა, რომელიც შეეცდება, ასეთი ან ამგვარი გადაწყვეტილებები მიიღოს და, შესაბამისად, ჩვენი შელახული იმიჯი უკრაინასთან მიმართებით გამოასწოროს. ამას შემდეგ მოჰყვება სხვა მიმართულებითაც ჩვენი იმიჯის გამოსწორება, საერთოდ ჩვენი კუთვნილი ავტორიტეტისა და რეპუტაციის აღდგენა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

***– ხერსონის ამბების შემდგომ კიდევ უფრო აქტუალური ხომ არ გახდება ბირთვული იარაღის გამოყენების საკითხი რუსეთის მხრიდან? ან რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება და რატომ დატოვეს ხერსონი?***

– ამას სამხედრო ექსპერტები უფრო კარგად ახსნიან, მაგრამ გასაგებია, რომ მას შემდეგ, რაც უკრაინელებმა დაამყარეს კონტროლი ხიდებზე, რომლის მეშვეობითაც ამარაგებდა რუსეთის არმია თავის დაჯგუფებას მარჯვენა ნაპირზე, ანუ ლოჯისტიკა ძალიან გართულდა, პრაქტიკულად შეეზღუდათ შესაძლებლობები, რომ რუსებმა სრულფასოვანი კონტროლი შეინარჩუნონ, მიხვდნენ, რომ ეს ძალიან სერიოზულ და მაინც საბოლოო მარცხთან არის დაკავშირებული და მიიღეს ის გადაწყვეტილება, რომელიც ლოგიკურად უნდა მიეღოთ. აქ კიდევ სხვა რამეა საქმე...

***– რა?***

– დღემდე ჩვენ ვაკვირდებით, რომ სამხედროების მაგივრად ამისთანა ოპერატიულ გადაწყვეტილებებს სულ უფრო და უფრო ხშირად იღებს თავად პუტინი. ის იღებს გადაწყვეტილებას არა როგორც სამხედრო, არამედ, როგორც პოლიტიკოსი, რაც ეწინააღმდეგება ბრძოლის ველზე შექმნილ რეალობას და, შესაბამისად, მარცხისკენ მიჰყავს რუსული ჯარის საქმე უშუალოდ ბრძოლის ველზე და ეს არაერთხელ დავინახეთ.

***– აღარავის ენდობა და თავად ამიტომ იღებს გადაწყვეტილებებს?***

– არა, ნდობაზე არ არის, უბრალოდ, მიჩვეულია, როგორც ავტორიტარული ლიდერი იმას, რომ თვითონ იცის ყველაფერი ყველაზე უკეთესად. სხვათა შორის, მისი ეს საქციელი ჰიტლერის ბოლო თვეების ქცევებს ჰგავს ძალიან მეორე მსოფლიო ომის დროს, ბოლო 3-4 თვის პერიოდს, სადაც თვითონ იღებდა ოპერატიულ გადაწყვეტილებებს. ახლა იმდენად ტრაგიკულ შედეგებამდე მივიდა რუსეთის არმია, რომ პუტინმა ველარ გაბედა სამხედროებთან შეწინააღმდეგება. ცხადი იყო, რომ ხერსონში სრული კატასტროფა ემუქრებოდათ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს და მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ეს სავსებით მოსალოდნელი იყო. მე ვფიქრობდი, რომ ეს უფრო ადრეც მოხდებოდა, მაგრამ ახლა გადაწყვიტეს.

***– რუსეთის მარცხის დასაწყისი დაიწყო?***

– რუსეთის მარცხის დასაწყისი დაიწყო მას შემდეგ, რაც კიევის შემოგარენი დატოვეს და დაიხიეს უკან. შემდეგ იყო ხარკოვი, ახლა არის ხერსონი. შემდეგი იქნება მელიტოპოლი და ეს პროცესი გაგრძელდება. საქმე ისაა, უბრალოდ, რამდენად ხანგრძლივი იქნება ეს პროცესი და როდის გაფორმდება უკრაინის საბოლოო გამარჯვება, სრული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რა თქმა უნდა, ყირიმის ჩათვლით.

***– ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ვსაუბრობდით და, როგორ ფიქრობთ, შეასრულებენ 12-პუნქტიან გეგმას? სერიოზული კრიტიკა გვესმის ევროკავშირიდან. როგორ ფიქრობთ, რა იქნება?***

– დღესდღეობით ჩემი ზოგადი შეფასება პესიმისტურია. მე ვერ ვხედავ, რომ ამ ტემპითა და ასეთი მოქმედებით ჩვენ მივაღწევთ კანდიდატის სტატუსის მიღებას. ვფიქრობ, რომ იმედგაცრუება გველოდება.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკოსების რიტორიკას რომ მოვუსმინოთ, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა. ისინი ამბობენ, დიახ, ჩვენ ვიცით, რას ვაკეთებთ, ჩვენ ვართ ჭეშმარიტად პროევროპული ძალა და, შესაბამისად, ვიღებთ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს კანდიდატის სტატუსის მიღებასო და ასე შემდეგ. ძალიან მინდა, ვცდებოდე, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ის რეფორმები, რომლებსაც ახლა ვადევნებთ თვალყურს, ნამდვილად არ არის ის, რასაც მოელის ჩვენგან ევროკავშირი. ამ თვალსაზრისით ჩვენ გველოდება იმედგაცრუება. კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ. ის ხალხი, ვინც გვპირდება და თავს დებს, რომ კანდიდატის სტატუსი გვექნება, აუცილებლად აიღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და აღიარებს საკუთარ შეცდომებს! ეს როგორც მინიმუმ. ძალიან მინდა, ვცდებოდე. თუ მივიღეთ კანდიდატის სტატუსი, მე ვიქნები პირველი, ვინც ამას ტაშს დაუკრავს და აღიარებს საკუთარ შეცდომას. ძალიან მინდა, ასე მოხდეს.



**„რუსეთის მარცხის დასაწყისი დაიწყო მას შემდეგ, რაც კიევის შემოგარენი დატოვეს და დაიხიეს უკან. შემდეგ იყო ხარკოვი, ახლა არის ხერსონი...“**

---

# ირაკლი ნადირაძე: „მელიას გარდა, ჯერჯერობით სხვა კანდიდატები დასახელებული არ არიან“



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი ნადირაძის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტზე ნიკა მელიას გარდა ჯერ არავის კანდიდატურა არ დასახელებულა.

როგორც ნადირაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პარტიაში ბევრი ღირსეული ადამიანია და კანდიდატურის დაყენების შესახებ მათი გადაწყვეტილება უნდა იყოს გააზრებული.

– ჯერჯერობით სხვა კანდიდატები, გარდა ნიკა მელიასი, დასახელებული არ არიან. იმედი გვაქვს, ძალიან მალე გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც ამ ტვირთს თავის თავზე აიღებენ, იმიტომ, რომ ამ პარტიას ჰყავს ბევრი ლიდერი, ბევრი ღირსეული ადამიანი და დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებს ეყოლება ბევრი კანდიდატი.

ღირსეული ადამიანი ბევრია და ეს უნდა იყოს მათი პირადი გადაწყვეტილება, კარგად გააზრებული, რადგან ასიათასობით მხარდამჭერიანი პარტიის თავმჯდომარეობა ამ რთულ ვითარებაში, როდესაც ქვეყანას რუსი ოლიგარქი ივანიშვილი მართავს, მარტივი არაა. დარწმუნებული ვარ, გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც ამ ყველაფერს თავს გაართმევენ და კანდიდატურას დაასახელებენ, – განაცხადა ირაკლი ნადირაძემ.

რაც შეეხება არჩევნების ჩატარების ფორმას, ნადირაძე ამბობს, რომ ამას პარტიის პოლიტსაბჭო გადაწყვეტს.

არჩევნები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, საჯარო და ჩვენი მომხრეების ჩართულობით, – განაცხადა ირაკლი ნადირაძემ.

---

# „ნიკა მელია თუ წააგებს, ალბათ ნაციონალებს დატოვებს“

## რამაზ საყვარელიძე: „ვისაც სააკაშვილის სახელი დაუკავშირდება, ამომრჩეველიც მას გაჰყვება. ახლა სააკაშვილის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე შიდა დაპირისპირებაზე საუბრობს.**

***– ბატონო რამაზ, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე მოვლენებს თქვენ რას უკავშირებთ? პარტიის ერთი ნაწილი ნიკა მელიას ღიად დაუპირისპირდა. შეიძლება, პარტიის თავმჯდომარეობიდან გადააყენონ?***

– რადგან მოინდომეს გადაყენება, გადააყენებენ კიდეც. ეს სრულიად მოსალოდნელი პროცესია, რადგან პარტიაში შიდა დაპირისპირება გარეთ გამოვიდა. ეს უკვე ძალიან აშკარა გახდა. მარტივი ვარიანტის გათამაშება ხდება. მოვა ის, ვისაც არ მოსწონს მელია და ამბობს, რომ უნდა წავიდეს. ამიტომ ამ შემთხვევაში მაღალ მატერიებსა და იდეალებზე საუბარი უადგილო იქნება.

***– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის სურვილებს უკავშირდება ეს ყველაფერი თუ მის მიღმა ხდება?***

– სააკაშვილს მელიას მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება რომ ჰქონდა და აქვს, ეს არ არის ახალი ამბავი. თუ გახსოვთ, ნიკა მელიამ პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში რომ გაიმარჯვა, მაშინ მიხეილ სააკაშვილმა თქვა, ჩემი კანდიდატი სხვა იყოო. ამდენად, მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულება ნიკა მელიასადმი სრულიად ცალსახაა და საზოგადოებისთვისაც ცნობილია.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ მომენტს, მე მგონია, რომ ამ ყველაფერში სააკაშვილის ხელი დიდად არ ურევია. როგორც ამბობენ, სააკაშვილი მართლაც ცუდად არის. უკვე არსებობს უცხოელი მედიკოსების დასკვნები მის



ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით და ეს დასკვნები არ უნდა იყოს სახარბიელო. როგორც ამბობენ, ძალიან დეპრესიულია, გამოფიტა. ამიტომ, როდესაც ადამიანი ავად არის, მას უქრება ყოველგვარი სურვილი, იყოს აქტიური. ვხედავთ, რომ სააკაშვილი პასიურია. ასეთი პასიური ის არასდროს არ ყოფილა. ამიტომ, ეჭვი მეპარება, რომ მას ახლა აღელვებდეს, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში. მისი უფროსი ვაჟის ნათქვამიც არ უნდა უგულებელვყოთ, რომ ის ვერ ხედავს მას აქტიურ პოლიტიკაში. ამიტომ მე გამოვრიცხავ სააკაშვილის აქტიურობას. ბოლოს და ბოლოს, ამდენი წელი პარტიას ის კაცი თავმჯდომარეობდა, რომელიც, როგორც მან თქვა, არ უნდოდა.

***– მის როლს საერთოდ გამორიცხავთ? ნეიტრალიტეტს შეინარჩუნებს?***

– რთული სათქმელია, რას იზამს, მაგრამ, მე მაინც მგონია, რომ თავის პოზიციას ღიად არ დააფიქსირებს. თუმცა, ეს მაინც დამოკიდებულია იმაზე, შიგნით რეალურად რა პროცესები მიმდინარეობს, ვის წინააღმდეგ არის ეს ყველაფერი მიმართული, მართლა მელიას უპირისპირდება პარტიის ნაწილი თუ სხვები ცდილობენ პარტიის ხელში ჩაგდებას. ძალიან ბევრი კითხვაა, რომლებზეც პასუხები არცთუ ისე ნათელია. მე მაინც არა მგონია, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ სააკაშვილით იყოს განპირობებული.

***– ვინ გახდება პარტიის ახალი თავმჯდომარე, ეს ბევრ რამეს გახდის ნათელს?***

– დიახ. ვინ, რომელმა ფრთამ გაიმარჯვა და რა პროცესები შეიძლება განვითარდეს.

***– ნიკა მელია თუ დამარცხდება ამ არჩევნებში, შეიძლება, რიგით წევრად დარჩეს?***

– არა მგონია. „ყოფილი დირექტორების“ ხვედრი არც ისე მარტივია ხოლმე. ამიტომ ნიკა მელია ალბათ დატოვებს ნაციონალურ მოძრაობას.

***– მას პარტიაში მხარდამჭერები ჰყავს, მის მხარდამჭერებთან ერთად?***

– სწორედ ამ მხარდამჭერების ერთგულება რომ შეინარჩუნოს, ის წამოვა პარტიიდან ამ ხალხთან ერთად და ალბათ, როგორც სხვა წამოსულებმა დააფუძნეს ახალი პარტია, ისიც დააფუძნებს.

***– ნაციონალური მოძრაობის ერთგული ამომრჩეველი სად წავა?***

– ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. ნაციონალური მოძრაობის ერთგული ამომრჩეველი პირველი დღიდან ხმას აძლევდა მიხეილ სააკაშვილს, დღესაც მას აძლევს ხმას და მომავალშიც სააკაშვილს მისცემს. სააკაშვილი სადაც იქნება, აფილირებული ამომრჩეველიც იმ მხარეს იქნება. ეს არის ის ჭეშმარიტება, რომელსაც ადამიანისადმი მიჯაჭვულობა ჰქვია და აქ პოლიტიკა, პარტია, ისტორია არაფერ შუაშია. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი სრულიად სხვა ფაქტორებია.

***– პარტიის გახლეჩით შეიძლება დამთავრდეს ეს არჩევნები?***

– დიახ, მაგრამ, ვისაც სააკაშვილის სახელი დაუკავშირდება, ამომრჩეველიც მას გაჰყვება. ამიტომ შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ახლა სააკაშვილის პოზიციას, რას იტყვის ის, ვის მხარეს დაიჭერს. მეორე განაყოფი კი 2%-იან პარტიათა გრძელ რიგს შეუერთდება.

# სამხრეთ კავკასიაში აშშ აქტიურდება

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ ახალი ძალით ჩაერთო აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის სამშვიდობო მოწესრიგების პროცესში. პუტინის მონაწილეობით აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებთან ოქტომბრის ბოლოს გამართული შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა.

მხარეებს შორის უთანხმოება არ დაძლეულა, თუმცა საქართველოს ორივე მეზობელი გამოთქვამს მზადყოფნას, გაგრძელდეს დიალოგი. სამშვიდობო დოკუმენტის დეტალური ვერსია აზერბაიჯანმა სომხეთს ჟენევაში 2 ოქტომბერს გადასცა. მას შემდეგ ბაქო და ერევანი დასავლელი პარტნიორების დახმარებით, ასევე რუსეთის ჩარევით მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობენ საერთო ენის გამონახვას.

– აშშ ძალიან დაინტერესებულია აზერბაიჯან-სომხეთის ურთიერთობის პროცესის ნორმალიზაციით, – აცხადებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეიჰუნ ბაირამოვი.

მისი პირისპირ საუბარი სომეხ კოლეგასთან ამ დღეებში ვაშინგტონში შედგა. იქვე გაიმართა მათი შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენთან. ამის შემდეგ პროცესს ბიძგი მიეცა.

– მხარეებს შორის არსებობს უთანხმოება, თუმცა ეს დაბრკოლება არ არის. პროცესი და მოლაპარაკებები გაგრძელდება, – აღნიშნავს ბაირამოვი.

### სომეხი დეპუტატი: „საზღვარი უნდა დაზუსტდეს“

სომხეთის მმართველი პარტიის დეპუტატი არმენ ხაჩატრიანი არ გამორიცხავს, რომ წლის ბოლომდე სამშვიდობო შეთანხმებას ხელი მოეწეროს:

– არ არის გამორიცხული, რომ იყოს შეთანხმება მშვიდობის თაობაზე და ასეთი პროცესი ერთმნიშვნელოვნად დაიწყება. ამის რეალიზება შესაძლებელია ნებისმიერ ფორმატში. მთავარია პოლიტიკური ნება.

სომხეთის პარლამენტის დეპუტატი მიიჩნევს, რომ მშვიდობისათვის აუცილებელია საზღვრის დადგენა:

– მშვიდობა ნიშნავს ერთმანეთის ტერიტორიების აღიარებას. ამ ტერიტორიების დაზუსტება შესაძლებელია მხოლოდ დემარკაციის საფუძველზე.




## წლის ბოლომდე, შესაძლოა, ვაშინგტონის შუამავლობით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო შეთანხმება მოხდეს

### ილჰამ ალიევი: „რუსი სამშვიდობოები აქ დროებით იმყოფებიან“

მოლაპარაკებების დაწყების მიუხედავად, ბაქოსა და ერევანში დაძაბულობაა. სომხეთში დაძაბულობის ახალი ტალღა აგორდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი (8 ნოემბერს) შუშაში იმყოფებოდა და იქ თავისი ქვეყნის სამხედროებს მიმართა.

– რუსეთის სამშვიდობო ძალები იქ დროებით არიან განლაგებული. მათი ყოფნის ვადა მითითებულია 2020 წლის 10 ნოემბრის განცხადებაში. თუ სომხეთის მხარე იმედს ვინმეზე ამყარებს, ის კვლავ შეეჯახება ტრაგედიას, – განაცხადა ალიევმა, რომელმაც კიდევ ერთხელ დასძინა, რომ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის მიწაა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა სომხეთი დაადანაშაულა იმის გამო, რომ არ ასრულებს დაპირებას უსაფრთხო გზის უზრუნველყოფაზე დანარჩენ აზერბაიჯანსა და ნახიჩევანის ავტონომიას შორის.

სომხეთში აზერბაიჯანის ლიდერის ეს გამოსვლა ბევრმა მუქარად აღიქვა. ანალიტიკოს გალუსტ გრიგორიანის აზრით, ეს იყო სილის გაწვნა რუსეთისთვისაც:

– სად არის გარანტია იმისა, რომ ხვალ ალიევი არ გასცემს სტეპანაკერტზე იერიშის ბრძანებას? ალიევი ამას ღიად აცხადებს. რეალურად, მან გაახმოვანა ულტიმატუმი რუსეთის მიმართაც. ეს იყო სილის გაწვნა ყველასთვის. თვითონ ალიევის ოკუპირებულ შუშაში ყოფნის ფაქტიც ტრაგედიაა ყოველი სომეხისათვის.

„ფაშინიანი პუტინს არ აძლევს პრობლემის მოგვარების საშულებას. ის ამის საშუალებას აძლევს ენტონი ბლინკენსა და შარლ მიშელს“

აზერბაიჯანული მედიის ანალიტიკოსი ანდრეი პეტროვი აფასებს სომხეთის პრემიერის მოქმედებებს. მისი აზრით, ფაშინიანს, მშვიდობის დამყარების ნაცვლად, სხვა ამოცანები ამოძრავებს.

**ანდრეი პეტროვი:**

– ნორმალიზაციას ერევანი განიხილავს სხვა მიზნების მიღწევის საშუალებად. ეს მიზნები ეხება არა აზერბაიჯანს, არამედ სომხეთის მოკავშირეებსა და პარტნიორებს – რუსეთს, ევროკავშირსა და აშშ-ს. სომხეთს სურს, მომგებიანად გაყიდოს ფაშინიანის ხელმოწერა ვაშინგტონის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე. აზერბაიჯანთან ომი უკანმოუხედავად 2 წლის წინ წააგო. არის კიდევ ერთი რამ, რაშიც სომხეთს გამარჯვება უნდა – ეს არის რუსეთთან დაპირისპირება. ნიკოლ ფაშინიანი გამოხატავს სომხეთის დასავლეთის სათვისტომოების (საფრანგეთისა და აშშ-ის) ინტერესებს. ის ცდილობს, გამოიყვანოს სომხეთი რუსეთის გავლენის სფეროდან. ის არ აძლევს ნორმალიზაციის საშუალებას პუტინს და ამის საშუალებას აძლევს ბლინკენსა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს.

აზერბაიჯანსა და სომხეთში გამოთქმული სხვადასხვა აზრი და შექმნილი მდგომარეობა ადასტურებს, რომ რუსეთის როლი და გავლენა ამ პრობლემის მოგვარებაში აშკარად მცირდება.

# „ნაცმოძრაობის თავმჯდომარე, დარწმუნებული ვარ, ხატია დეკანოიძე იქნება“

## დათო ლორთქიფანიძე: „პარტიის შიდა გადაჯგუფებით ნაციონალები წარსულის გასუფთავებას ცდილობენ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.**



***– ბატონო დათო, როგორ აფასებთ ოპოზიციურ ფლანგზე, ნაცმოძრაობასა და მის განაყოფ პარტიებში მიმდინარე პროცესებს? ერთი მხრივ, ნაცმოძრაობაში ლიდერის პრობლემა უდგათ და შიდა არეულობაა, მეორე მხრივ, ნაცმოძრაობიდან გამოყოფილი „სტრატეგია აღმაშენებელი“, „დროა“ და „გირჩი – მეტი თავისუფლება“ გაერთიანების გზას ირჩევენ. რა პროცესებთან გვაქვს საქმე ნაცმოძრაობასა და მის განაყოფ პარტიებში?***

– საერთოდ, პოლიტიკაში ძალიან მარტივი, დაუწერელი კანონია. როცა ესა თუ ის პოლიტიკური სუბიექტები ერთიანდებიან, მათ მიერ მისაღები ხმების რაოდენობა ჯამურად არ იკრიბება ხოლმე. თუ ერთს 1% აქვს, მეორეს – 2%, მესამეს – 4%, ჯამში 7% არ გამოდის.

***– არადა, „აღმაშენებლის“ გიორგი ვაშაძემ თქვა, რომ ამ სამ პარტიას ჯამში 7% აქვს.***

– ზუსტად ამას გეუბნებით, ვინც პოლიტიკასა და საარჩევნო კვლევებშია ჩახედული, ეს იცის. რაც დამოუკიდებელი სახელმწიფო და არჩევნებია, მას შემდეგ პოლიტიკაში ვარ მეტ-ნაკლები აქტივობით და ვიცი, რომ ეს არის აქსიომა. მექანიკურად ჯამი არ დგება. ამ შემთხვევაში ამა თუ იმ პოლიტიკურმა ძალამ შეიძლება მისი ამომრჩეველიც კი დაკარგოს. როდესაც შენს ამომრჩეველს არ ეკითხები, ვისთან ერთიანდები, შეიძლება, შენს ამომრჩეველს გაერთიანება არ აწყობდეს და არ უნდოდეს.

მათი აქტივობები საერთოდ არ მაღელვებს (უბრალოდ, თქვენს კითხვას ვპასუხობ, რადგან გაზეთს პატივს ვცემ), ვიცი, რომ საერთოდ ვერანაირ შედეგს ვერ მიიღებენ.

ეს მათი გადაწყვეტილებაა და ქართველი ამომრჩეველი მათ ამ გადაწყვეტილებას პირველივე არჩევნებზე პასუხს გასცემს.

***– თუმცა ფიქრობენ, რომ გაერთიანებით პოლიტიკურ ველზე გარკვეულ გავლენებს მოიპოვებენ და „ოცნების“ ხელისუფლებას შეარყევენ.***

– ნეტარ არიან მორწმუნენი. საზოგადოებაში მათ არა აქვთ ის რეიტინგი, ვინმეს შერყევა მოახერხონ, მით უფრო – ხელისუფლების. ამიტომ მათი ეს გაერთიანება იქნება გაერთიანება გაერთიანებისთვის. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. რომ გითხრათ, მათი წარმატება მინდა-მეთქი, მოგატყუებთ. ვუსურვებ, რასაც იშრომებენ, ქართველმა ხალხმა არ დაუკარგოს.

***– მეორე მხრივ, ამ სამი პარტიის დედაპარტიაში, ნაცმოძრაობაში, დიდი მოძრაობაა მისი ლიდერის, მელიას წინააღმდეგ. თურმე შიდა პარტიული არჩევნების ჩატარება ისედაც გადაწყვეტილი ყოფილა, რომელშიც მელიაც მონაწილეობს, მაგრამ ერთი ჯგუფი მაინც გამოვიდა ულტიმატუმით, მელია წავიდეს. ამ მოძრაობებიდან და განცხადებებიდან რას ხედავთ?***

– ნაცმოძრაობის მოძრაობების ექსპერტად ნამდვილად არ გამოვდგები, მაგრამ, რასაც გარედან ვხედავ, აშკარაა, რომ იქ რამდენიმე ფრთაა გააქტიურებული. ვანო მერაბიშვილსაც მოსწყინდა უქმად ყოფნა. გახსოვთ ალბათ, მიხეილ სააკაშვილი მერაბიშვილს ხერხემალსაც უწოდებდა. ხერხემალი უმოქმედოდ ამდენი ხნის განმავლობაში ცოტა რთული თემაა.

ამიტომ, ვინ ვანოს ეწინააღმდეგება, ვის ვანოს გარეშე ვერ წარმოუდგენია ნაცმოძრაობის გაძლიერება, ვის მელიას გარეშე ვერ წარმოუდგენია, ვის კიდევ მელიასთან ერთად, მთავარი ამოსავალი აქ ერთი რამ არის – მათ დასახული მიზანი, ქვეყანაში სერიოზული ვნებათაღელვა შემოეტანათ, ხელისუფლება შეერყიათ, არეულობებით ხელისუფლება შეეცვალათ, ვერ შეასრულეს.

ახლა ფიქრობენ, რომ ახალი გადალაგებით საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობენ, მაგრამ, არა მგონია, მათ გადალაგება-გადმოლაგებას რაიმე შედეგი მოჰყვეს. უსაგნო მცდელობაა.

***– ნაცებმა აქ ვერ მიაღწიეს წარმატებას, ხელისუფლებაში ვერ მოვიდნენ, მაგრამ ევროპიდან ხომ შეძლეს რყევები?***

– ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობის კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ეს არ არის საბოლოო. საბოლოო გადაწყვეტილება 10 დღეში იქნება. ევროპარლამენტის მმართველი პოლიტიკური ძალაა სახალხო პარტია, რომელიც ნაცმოძრაობის დედაპარტიაა, მათთან აფინირებული არიან. სხვა ფრაქციებიც არიან – ევროპული კონსერვატორები და სხვები, რომლებიც ერთად მოქმედებენ. ეს კონგლომერატი ასეთი გადაწყვეტილებების მიღებას ახერხებს.

ეს არის პირდაპირი გამოძახილი იმისა, რომ საქართველოში ნაცმოძრაობის მხარდამჭერებისთვის ხელისუფლების ცვლილების შეთავაზებაა. უნდათ, საქართველოში რყევები გამოიწვიონ, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს. მოსახლეობა ქუჩაში რომ გამოვა, შემდეგ ის სახლებში აღარ უნდა შევიდეს. გახსოვთ ალბათ, ცხელ შემოდგომას აანოსებდნენ. შემოდგომა დამთავრდა, ცხელი შემოდგომა არ გამოუვიდათ.

***– მელიამ განაცხადა, ცხელი შემოდგომა იქნებაო.***

– მელიას დაუდგა ცხელი შემოდგომა თუ პარტიამ დაიყენა ცხელი შემოდგომა, ეს ჩემთვის მეათასეხარისხოვანია. უბრალოდ, არ მინდა, იმ დონეზე „აფორიაქდნენ“, საზოგადოებაში დესტაბილიზაციის ნიშნები შემოიტანონ. შეკრება, გაპროტესტება, შიდა არჩევნების ჩატარება დემოკრატიის ნაწილია. მათ ამის უფლებაც აქვთ, საშუალებაც და გამოცდილებაც. მთელ საქართველოს უტარებდნენ არჩევნებს და, ერთმანეთსაც თუ ჩაუტარებენ, ამით დიდი არაფერი დაშავდება.

***– ნაცმოძრაობის ლიდერებზე მინდა გკითხოთ – თქვენ ახსენეთ მერაბიშვილი, მელია, ხაბეიშვილიც ჩანს. ნაცმოძრაობამ ვინ შეიძლება აირჩიოს?***

– პირდაპირ გეტყვით – ეს კეთდება იმისათვის, რომ ნაცმოძრაობამ დაინახა, საშინელი პერსპექტივა აქვს. ეს პერსპექტივა მათი საშინელი ბეგრაუნდიდან გამომდინარეა. ამიტომ, ისინი ცდილობენ, მეტ-ნაკლებად გაისუფთავონ წარსული, რაც ვერ მოხერხდება. ამიტომ სერიოზულ ცვლილებებზე მიდიან. დარწმუნებული ვარ, პარტიის თავმჯდომარედ ხატია დეკანოიძეს აირჩევენ. ეს იქნება მესიჯი საზოგადოებისთვის.

***– რა მესიჯი?***

– მესიჯი, რომ ის ქალია, სისხლიან დანაშაულებში მონაწილეობა არ მიუღია და... ვფიქრობ, ასე იქნება.

***– თუმცა ხატია დეკანოიძეც სააკაშვილის ხელისუფლების ნაწილი იყო.***

– ხატია დეკანოიძე მაშინ პოლიციის აკადემიის ხელმძღვანელი გახლდათ. ეს ისეთი თანამდებობა არ არის, ბრალი დასდო. თუმცა, გუნდის წევრი რომ იყო, არაფერი გაუპროტესტებია. ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, ისეთივე დამნაშავეთა გუნდის თვალსაჩინო წარმომადგენელია, როგორიც – დანარჩენები. ჩემი აზრით, ეს არის მათი გათვლა, მაგრამ, რაც ალხანა, ის ჩალხანა.

ვინ უნდა შესთავაზოს ნაცმოძრაობამ საზოგადოებას, სააკაშვილის სადისტურ რეჟიმთან რომ არ ასოცირდებოდეს? ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ამ შემთხვევაში ისინი საზოგადოებას ქალის კანდიდატურას შესთავაზებენ. ეს ქალი დეკანოიძე იქნება და მას პარტიის თავმჯდომარედ აირჩევენ.

***– მელია აცხადებს, არჩევნებში მონაწილეობას მეც მივიღებო.***

– ეს მათი საქმეა. ამჯერად არ მაინტერესებს მათი შიდა სამზარეულოს ამბები – ერთმანეთში რა წიაღსვლებით იქნებიან დაკავშირებული, რა დაპირისპირება მოუწევთ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაცმოძრაობის თავმჯდომარე ხატია დეკანოიძე იქნება.

***– როდესაც პარტიების გამსხვილება ხდება ან პარტიებში ნორმალური პროცესი მიმდინარეობს, ეს ქვეყნისთვის, ზოგადად, კარგია. რა სიკეთის მოტანა შეუძლია ამ პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ ქმედებებს?***

– როდესაც ჯანსაღი ძალების გამსხვილება ხდება (მათ შორის პოლიტიკური ძალების) ეს, რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის კარგია, მაგრამ, როდესაც კრიმინალური წარსულის მქონე ძალების თავმოყრა (ორი კრიმინალის ერთად თავმოყრა) ხდება, ეს კარგი არ არის.

## დონბასში ბრძოლები გრძელდება



დონბასი კვლავ გააფთრებული ბრძოლის არენად რჩება. რუსი ოკუპანტები ცდილობენ ბახმუტისაკენ გაჭრას. გააფთრებული ბრძოლებია ავდეევკასთან, უგლედართან, პავლოვკასთან. რუსული არხების მიერ გავრცელებული ინფორმაცია პავლოვკის დაკავების შესახებ სრული სიცრუეა.

პავლოვკასთან რუსულმა ნაწილებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან. განადგურებულია „კადიროველთა“ ელიტური ნაწილი „ახმატი“, რომელიც რამზან კადიროვის მამის ახმატ კადიროვის სახელს ატარებდა.

– ამას ხოხოლებს არ ვაპატიებ! ნებისმიერ ქალაქს, რომელსაც დავიკავებთ, მიწასთან გავასწორებთ! – დაიმუქრა კადიროვი.

სამაგიეროდ, უკრაინელები განაგრძობენ შეტევებს ლუგასნჩინაზე. კრემენოესთან რუსი ოკუპანტების კონტრშეტევა ჩაიშალა. ბრძოლები გრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# სუს-მა შსს-ს ირანელი თანამშრომელი დააკავა



სუს-ის სპეცოპერაცია თბილისში – სამართალდამცველები დიდუბეში, გორის ქუჩაზე, 23 ნომერში, მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ. დაკავებულია 40 წლის მამაკაცი, რომელსაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას ედავება. ოჯახი ამტკიცებს, რომ იარაღი ჩადებულია და მისი დაკავება სუს-ის პროვოკაციაა.

დაკავებული ირანული ენის თარჯიმანია, რომელიც წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

ის საქართველოს მოქალაქეა, თუმცა მისი მშობლები ამ დრომდე ირანში ცხოვრობენ და თავად ფერეიდნიდან წლების წინ ჩამოვიდა საქართველოში.

დაკავებულის ოჯახი ამტკიცებს, რომ იარაღის ჩადება პროვოკაცია იყო.

– შემოცვივდნენ იარაღებით. წივილ-კივილი დავიწყე, იატაკზე დააწვინეს, ეჭვმიტანილები ხართ იარაღის უკანონო შენახვაზე და ასაფეთქებელ ნივთიერებაზე. დანაც არ ჰქონია, 3-4 საათის მერე ჩხრეკა რომ ჩატარდა, იარაღი ამოიღეს ტანსაცმლის კარადიდან, საიდანაც მე დილით კურტკა ავიღე და ჩავიცვი, იქ რომ იარაღი დებულიყო, თან მაქვს სეიფი, მაშინ სეიფში უნდა ჩამედო. თარჯიმნობდა შსს-ში – ამბობს დაკავებულის მეუღლე. მამაკაცი ამჟამად ე.წ. მოდულის შენობაშია გადაყვანილი და ბრალს ოფიციალურად მას, სავარაუდოდ, დღის ბოლომდე წარუდგენენ.

# სასამართლომ ნიკოლოზ გოგაშვილს აღკვეთის ღონისძიებად 10.000-ლარიანი გირაო შეუფარდა



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის ბიძაშვილს, ნიკოლოზ გოგაშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად გირაო 10.000 ლარის ოდენობით შეუფარდა.

ნიკოლოზ გოგაშვილი, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ გასაღება ედება ბრალად, საპატიმროს მხოლოდ გირაოს გადახდის შემდეგ დატოვებს.

სასამართლოს გირაოს შეფარდების შუამდგომლობით ბრალდების მხარემ მიმართა.

როგორც პროკურორმა ნათია სილაგაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ბრალდების მხარეს საქმეში არაერთი მტკიცებულება აქვს მოპოვებული, მათ შორის მოწმეთა ჩვენებები.

მისი თქმით, დასტურდება, რომ ნიკოლოზ გოგაშვილმა, სამი ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინა და მისი განზრახვა იყო, რომ ისინი შემდგომ მართლსაწინააღმდეგოდ გაესაღებინა სოსო გოგაშვილზე.

– არის მოწმე, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს ცეცხლსასროლი იარაღები არ იყო თავიდანვე ნიკოლოზ გოგაშვილის საკუთრება. როცა ნიკოლოზ გოგაშვილმა იარაღები შეიძინა, კანონიერად მის სახელზე რეგისტრირება მოახდინა. თავიდანვე მისი განზრახვა იყო, მართლსაწინააღმდეგოდ გაესაღებინა. ამის დასადასტურებლად ბრალდების მხარეს არაერთი მტკიცებულება აქვს მოპოვებული, – განაცხადა პროკურორმა.

რაც შეეხება ნიკოლოზ გოგაშვილის ადვოკატის, რამაზ სამხარაძის პოზიციას, როგორც მან განმარტა, ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არ იყო სისხლის სამართლის კანონით დასჯადი და აღნიშნული ქმედება გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

– რაც შეეხება კონკრეტულ მოწმეებს, რომელთა გვარები სასამართლო დარბაზში გაჟღერდა, აქედან უმრავლესი ნაწილი სუს-ის თანამშრომელია, რომლებმაც გარკვეულ პროცედურებში მიიღეს მონაწილეობა – ჩხრეკის, დაკავების და ა.შ. ასევე არსებობს ერთადერთი არაობიექტური, მიკერძოებული და დაინტერესებული მოწმე, რომელიც იოსებ გოგაშვილზე გაბრაზების ან წყენის გამო არის ტენდენციური. ასევე, შესაძლოა ის ელოდება რაღაც პრივილეგიებს, დაწინაურებას, არ ვიცი, რას, რის გამოც შესაძლოა ის აძლევდეს არასწორ ინფორმაციას სამართალდამცველებს, – აცხადებს სამხარაძე.

შეგახსენებთ, სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, იოსებ გოგაშვილის ბიძაშვილს ნიკოლოზ გოგაშვილს ბრალი წარდგენილი აქვს 236-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ გასაღებას გულისხმობს. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მას 6-დან 9 წლამდე თავისუფლებს აღკვეთა ემუქრება.

# დაკავებულია ჰომოფობი – თავდასხმა და ძალადობა ავტობუსში

დააკავეს კაცი, რომელიც ავტობუსში ჰომოფობიურ ნიადაგზე არასრულწლოვან ბიჭს თავს დაესხა. ინფორმაცია „ფორმულას" შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს.

6 ნოემბერს ლუკა აბლოთიამ Facebook-ზე დაწერა, რომ შეხსნილი პიჯაკის გამო ავტობუსში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მისი თქმით, თავდაპირველად კაცი თავს პიჯაკის გამო დაესხა, კამათის შემდეგ კი ხელით შეეხო და მოკვლით დაემუქრა.

# იოსებ მგელაძე: „არცერთ კომპანიას არავითარი კავშირი არა აქვს ქოლცენტრებთან"



ქოლცენტრების სკანდალი – კეზერაშვილის ახლო მეგობრის კომპანიაში სპეცოპერაცია შოთაძის უწყებამ ნამდვილად ჩაატარა. ამას იოსებ მგელაძეც ადასტურებს, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში და ბრიფინგი გამართა.

ბიზნესმენი ირწმუნება, რომ მის კომპანიას კავშირი არ აქვს ქოლცენტრებთან, თუმცა არ უარყოფს, რომ დავით კეზერაშვილი მისი ახლო მეგობარია.

– არცერთ კომპანიას არავითარი კავშირი არ აქვს ქოლცენტრებთან. ზოგადად ჩვენი კომპანია ფლობს და აქირავებს არაერთ უძრავ ქონებას თბილისში. შესაბამისად, ამ იურიდიული პირების ბიზნესის ჩემთან დაკავშირება არასამართლიანია. დათო კეზერაშვილი არის ჩემი კურსელი. პირველი კურსიდან ვმეგობრობთ დღემდე. ნამდვილად ვიყავი მის საინვესტიციო კომპანიაში, უფრო სწორად, არ ვიცი, რამდენად იყო მისი, მაგრამ იყო დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. კომპანია იყო „უნივერსა კაპიტალ გრუპი". დღეს პარტნიორული ურთიერთობა მე დათო კეზერაშვილთან არ მაქვს, მაგრამ არასოდეს არ უარვყოფ მასთან მეგობრობას, – ამბობს მგელაძე.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ე.წ. ქოლცენტრების საქმიანობაში ჩართული 37 ფიზიკური და 2 იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნაა დაწყებული.

უწყებაში ამბობენ, რომ საქართველოს პროკურატურის და 7 ქვეყნის უწყების წარმომადგენლების ჩართულობით, ევროჯასტის მხარდაჭერით შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფის მიერ, ერთდროულად ოთხი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი ღონისძიება ჩატარდა.

# ძებნაში მყოფი მელაძე: „დამაკნინეს, თაღლითი შემარქვეს, გამძარცვეს, ჩემს შვილთან ბედნიერი წუთებიც წამართვეს"



კომპანია „მელაძის" დამფუძნებელი ვაჟა მელაძე, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული, სოცქსელში წერს:

– ძებნაში ვარ ოფიციალურად, მგონი, ბევრი დაბნეულია ამ ფაქტით, ცოტა მეც დაბნეული ვარ, მაგრამ ვეგუები.

დამაკნინეს, თაღლითი შემარქვეს, გამძარცვეს, ჩემი ყველა უფლება დაიკიდეს, ჩემს შვილთან ბედნიერი წუთებიც წამართვეს, რიჟიკაც შემარქვეს ზოგ ეთერში, მაგრამ არა უშავს.

გპირდებით, ყველას სათანადო პასუხს გაგცემთ, გჯეროდეთ თითოეული გარეული პირი ჩემს ანტიკამპანიაში და ყალბი ბრალდების შედგენაში მონაწილე, დაისჯებით თქვენთვის ყველა ნაცნობი საშუალებით. ამის პირობას გაძლევთ და, ვინც მიცნობს, იცის, რომ სიტყვას ყოველთვის ვასრულებ.

შეიძლება დამიჭიროთ, გამანადგუროთ, მაგრამ ყველაზე საშიში მაშინ ვიქნები, მიწასთან გასწორებულს რომ დამინახავთ.

თუმცაღა მიხარია, რომ ჩემი სიტყვის თქმა მოვასწარი. ზოგი ისე გაისტუმრეთ იმქვეყნად, ხმის ამოღებაც ვერ მოასწრეს. რამდენი ახალგაზრდა შეიწირა თქვენმა ბინძურმა სისტემამ, ათასობით, მაგრამ მოვა დრო და მოვა ჩემი თაობა, თქვენს საფლავს ზედაც არ დავაფურთხებთ, თქვენ იქნებით ყველაზე მივიწყებული ბნელი საქართველოს სიმბოლოები.

საზოგადოების აზრის ცვლილებებისთვის მთავრობის ტელევიზიები ძლიერ ცდილობდნენ, თავი გამოედოთ და სახალხო სკანდალად მაქციეს, მაგრამ ისევ უშედეგოდ. ხალხს მაინც ვერ შეაყრით თვალებში ნაცარს, ფაქტები ჩემს გვერდზე დევს და უკვე ათასობით მოწყობილობაშია ჩაწერილი, ამიტომ თქვენს ბედს ვერ დაემალებით.

როცა წყალი იმატებს, თევზები ჭამენ ჭიანჭველებს, როცა წყალი იკლებს, ჭიანჭველები – თევზებს. ეს გახსოვდეთ.

# „ქურდული რაზბორკები" თბილისსა და ზუგდიდში – პროკურატურამ 5 პირს ბრალი წარუდგინა



პროკურატურის განცხადებით, „ქურდული სამყაროს" წევრობისა და „ქურდული სამყაროს" წევრისთვის მიმართვის ფაქტებზე 5 პირს ბრალდება წარუდგინეს.

გამოძიება ამბობს, რომ ორ პირს შორის წარმოქმნილი ფინანსური დავა სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შემდეგაც, ხსენებულმა პირებმა „ქურდული გარჩევის" განხორციელებისა და მატერიალური უპირატესობის მიღების მიზნით, „ქურდული სამყაროს" წევრებს მიმართეს.

– 2022 წლის ივლისსა და აგვისტოში, თბილისში და ზუგდიდის რაიონში, „ქურდული სამყაროს" წევრების მონაწილეობით შედგა „ქურდული გარჩევა", რა დროსაც საკუთარი კრიმინალური გავლენის, ძალაუფლების დამკვიდრების და გავრცელების მიზნით, „ქურდული სამყაროს" წევრებმა დაპირისპირებულ მხარეებს შორის განიხილეს დავა, რის შემდეგაც ერთ-ერთ მოდავე პირს მეორე პირისთვის „ქურდული გარჩევით" დაკისრებული თანხა გადაახდევინეს.

სამართალდამცველებმა ხუთივე პირი მოსამართლის განჩინების საფუძველზე თბილისსა და სამეგრელოში დააკავეს, – წერია განცხადებაში. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ხუთივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდა.

# „მთავარი არხის" ყოფილი წამყვანი ლაშა ნაკაიძე პატიმრობაში რჩება

პარტნიორის ძალადობასა და გაუპატიურებაში ბრალდებული „მთავარი არხის" ყოფილი წამყვანი ლაშა ნაკაიძე პატიმრობაში რჩება.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა, რითაც ის ითხოვდა, ნაკაიძის მიმართ შეწყვეტილიყო 137-ე მუხლით დაწყებული გამოძიება, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

მოსამართლის გადაწყვეტილება გუშინ საქალაქო სასამართლოში გამართულ წინასასამართლო სხდომაზე გახდა ცნობილი. სხდომა დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

სხდომაზე მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს განიხილავდნენ. საქმის არსებითი განხილვა კი მომდევნო სხდომიდან დაიწყება.

ნაკაიძის ადვოკატ ლალი ბიბილეიშვილის განცხადებით, ლაშა ნაკაიძე წარდგენილ არცერთ ბრალს არ აღიარებს.

პროკურორის თქმით კი საქმეში არსებობს მაღალი ხარისხის მტკიცებულებები, რაც ადასტურებს, რომ ტელეწამყვანმა წარდგენილი დანაშაული ჩაიდინა:

– რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიებას, სასამართლომ მოისმინა მხარეთა პოზიცია, რომელმაც გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ამ ეტაპზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ძალაში დატოვა.

საქმეზე არსებობს მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, ყველა საჭირო ექსპერტიზის დასკვნა, სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით დაზარალებულს დაზიანებები აქვს. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ გეტყვით აღნიშნული დაზიანების ხარისხს და გიდასტურებთ, რომ დაზარალებულს დაზიანებები აქვს. სხვა დეტალებს ვერ მოგახსენებთ. რაც შეეხება დაცვის მხარის



შუამდგომლობას დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით, რომელიც გაუპატიურებას ეხება, სასამართლომ ეს არ დააკმაყოფილა და ამ ნაწილშიც დევნა შეწყვეტილი არ არის, – თქვა პროკურორმა გიორგი ნადირაძემ. შეგახსენებთ, პროკურატურის ინფორმაციით, 15 აგვისტოს, ბრალდებული ლაშა ნაკაიძე გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, შურისძიების ნიადაგზე დანისა და ხმოვანი პისტოლეტის დემონსტრირებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ა.პ.-ს, ასევე სხეულის სხვადასხვა არეში დარტყმით და მჩხვლეტავი საგნის ზემოქმედებით ფიზიკურად იძალადა მასზე. აღნიშნულის შემდგომ ბრალდებულმა ძალადობით და ძალადობის მუქარით სექსუალურად იძალადა დაზარალებულზე.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 16 აგვისტოს დააკავეს. პროკურატურამ მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 137-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება), 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილითა (ოჯახში ძალადობა) და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით (სიცოცხლის მოსპობის მუქარა ოჯახის წევრის მიმართ) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# რუსი ოკუპანტები ხერსონიდან გადიან



სასტიკი ბრძოლებია ხერსონთანაც. ოკუპანტებმა აქ კიდევ დამატებითი ძალები გადმოისროლეს. დღეისათვის ხერსონში 50.000 რუსი ოკუპანტია.

– ქალაქის გათავისუფლებისათვის ბრძოლები გრძელდება! გამარჯვება გარდაუვალია, მაგრამ ამას დრო დასჭირდება, – აცხადებს უკრაინის გენერალური შტაბი.

უკრაინელებმა დაიკავეს სოფელი სნეგუროვკა. აქედან ხერსონისაკენ უმოკლესი გზაა.

– სნეგუროვკის აღებას უდავოდ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, – მიიჩნევს უკრაინელი ექსპერტი, პოლკოვნიკი სვისტუნი.

უკრაინული არმია სნეგუროვკის აღებით როდი დაკმაყოფილდა. გათავისუფლებულ იქნა სოფელი კალინოსვსკოე და კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი. გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ხერსონელ კოლაბორაციონისტთა ერთ-ერთი ლიდერი სტრემოუსოვი.

რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა, ხერსონიდან უკან დაეხია. ამის თაობაზე განაცხადა უკრაინაში რუსული საოკუპაციო ძალების სარდალმა, გენერალმა სუროვიკინმა:

– ხერსონის შენარჩუნება შეუძლებელია! ბრძოლისუნარიანი არმიის შენარჩუნების ერთადერთი გზა ქალაქის დატოვებაა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ დაეთანხმა სუროვიკინს.

– გიბრძანებთ, რამდენიმე დღეში ხერსონიდან ორგანიზებული გასვლა უზრუნველყოთ! – თქვა მან.

საოცარია, მაგრამ ხერსონის დატოვებას რამზან კადიროვიც ეთანხმება:

– დღეისათვის ეს არმიის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა! – ამბობს კადიროვი.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელ ნატალია გუმენიუკის აზრით, ხერსონიდან რუსების უკანდახევა მხოლოდ მარჯვედ მოფიქრებული ფანდი არ არის. რუსეთს სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე კი ყველაფერი მზადაა საიმისოდ, რომ ჯარი იქ დიდი ხნის განმავლობაში გამაგრდეს.

– გამარჯვების სიხარული ნაადრევია! მთავარი ბრძოლები წინაა! – მიიიჩნევს გუმენიუკი.

უკრაინელი სამხედრო ექსპერტის, კოვალენკოს აზრით, დნეპრის მარჯვენა ნაპირის გათავისუფლება ამ წელს ვეღარ მოხერხდება.

– სავარაუდოდ, რუსებს აქედან მომავალ, 2023 წელს გავრეკავთ! – მიიჩნევს კოვალენკო.

# რა ხდება რუსეთის არმიაში?!

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ფრიად საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. მიუხედავად რუსი ექსპერტების პროგნოზებისა, ავდეევკის, მარინკისა და ბახმუტის აღების თაობაზე (რუსეთის არმიას ეს დასახლებული პუნქტები ჯერ კიდევ სექტემბერში უნდა აეღო) ეს არ გამართლდა. მარინკასთან ცხარე ბრძოლებია. იგივე შეიძლება ითქვას ბახმუტზეც. რაც შეეხება ავდეევკას, მისი ალყაში მოქცევის ყველა მცდელობა ჩაიშალა.



– რუსებმა ვერცერთი ხსენებული დასახლებული პუნქტის დაკავება ვერ მოახერხეს, – აცხადებს ტელეკომპანია მე-5 არხი.

განუწყვეტელმა შეტევებმა რუს ჯარისკაცებს ქანცი გამოაცალა. მსხვერპლის რაოდენობა ელვის უსწრაფესად იზრდება, უკვე 80.000-ს გადააჭარბა. როგორც ჩანს, ახალი წლისათვის ეს ციფრი 100.000-ს მიაღწევს. ყველაფერმა ამან როგორც რუსეთის არმიაში, ისე საერთოდ რუსულ სახელმწიფოში არაერთგვაროვანი პროცესები წარმოშვა.

დღეისათვის რუსეთის არმიაში შეიძლება სამი ჯგუფი გამოვყოთ. პირველი ძალა რეგულარული ჯარია. ის იარაღისა და ცოცხალი ძალის დეფიციტს განიცდის. „მობილიზაციამ“ ვითარება ვერ გამოასწორა. ამას უკვე რუსი პროპაგანდისტებიც კი აღიარებენ.

– მობილიზებულებს მინდა შევეკითხო: რატომ წუწუნებთ და ჩივით? ის კი არ არის მთავარი, თუ რა მოგცა სახელმწიფომ, არამედ ის, თუ რა მიეცი მას შენ, – აცხადებს რუსი ჟურნალისტი სოლოვიოვი.

მეორე ძალას უდავოდ წარმოადგენს კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“. ესაა ნამდვილი კრიმინალური დაჯგუფება ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დავიწყოთ იქიდან, რომ „ვაგნერი“ უკანონო სამხედრო ფორმირებაა და მისი არსებობა თვით რუსული კანონმდებლობითაც არ არის გათვალისწინებული. ამას გარდა, „ვაგნერში“ თავი მოუყარეს სისხლის სამართლის დამნაშავეებს, მათ შორის მათაც, ვინც სასჯელს მძიმე დანაშაულისათვის იხდიდა (მკვლელობა, ძარცვა, გაუპატიურება და ა.შ.). დღეს „ვაგნერი“ ფრონტის ყველაზე ცხელ უბნებზე გადაისროლეს (ბახმუტი, ავდეევკა, ხერსონი). ამავე დროს, „ვაგნერელები“ დაუნდობლად ძარცვავენ როგორც უკრაინელ მოსახლეობას, ისე თავისსავე თანამემამულეებსაც. საუბარია როგორც ახალწვეულებზე, ისე მობილიზებულებზე. მათ ართმევენ ფულს, მობილურ ტელეფონებს, სცემენ და ა.შ. შედეგად, არმიასა და „ვაგნერს“ შორის ურთიერთობები დაიძაბა.

მესამე ძალას „კადიროველები“ (რაზან კადიროვის ბანდა) წარმოადგენს. ის 30.000 თავზეხელაღებული მკვლელისაგან შედგება. „კადიროველებს“ ძირითადად საველე ჟანდარმერიის ფუნქციები გააჩნიათ. ისინი რუს ჯარისკაცებს დაუნდობლად უსწორდებიან, რადგანაც თვლიან, რომ მათ შემართება აკლიათ. ხშირია „კადიროველთა“ მხრიდან რუსი ჯარისკაცების გაუპატიურების ან დახვრეტის შემთხვევები. ამან არმიასა და კადიროველებს შორის ურთიერთობები დაძაბა.

უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა ალიანსი „ვაგნერელთა“ ბელად პრიგოჟინსა და რამზან კადიროვს შორის. ის ძირითადად გენერალიტეტის წინააღმდეგაა მიმართული. პრიგოჟინი აშკარად აცხადებს, მალე ხელისუფლებაში მოვალთ და სტალინურ წესებსაც აღვადგენთო. ამან როგორც გენერალიტეტი, ისე მთელი რუსულ ელიტა დააფეთა. დაპირისპირება ღრმავდება და მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

# ბაიდენი: „მოსკოვმა იძულებითი ნაბიჯი გადადგა“



რუსული არმიის მიერ ხერსონის დატოვებას აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი გამოეხმაურა. მან თქვა, რომ მოსკოვმა იძულებითი ნაბიჯი გადადგა.

– რუსებს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები ჰქონდათ. ამიტომაც უკან დაიხიეს, – თქვა ბაიდენმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, ხერსონის დატოვება ხომ არ უბიძგებს უკრაინას კომპრომისისაკენ, ბაიდენმა მიუგო, არ ვიცი, ვნახოთო, შემდეგ დაამატა, რომ ხერსონის დაცემამ სრულიად ახალი სიტუაცია შექმნა.

– ორივე მხარე შეეცდება, ზამთარი გამოიყენოს თავისი პრობლემების მოსაგვარებლად, – თქვა ბაიდენმა.

ამავე დროს, აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ ხერსონიდან უკანდახევით შეუძლებელია, უკრაინას რაიმე ხაფანგი დაუგონ.

– რუსეთის არმია და საერთოდ რუსული სახელმწიფო სერიოზულ პრობლემებს განიცდიან! – მიიჩნევენ ამერიკელი ანალიტიკოსები.

# შეასრულებს თუ არა უნგრეთი რუსეთის დაკვეთას?

რუსეთის პრეზიდეტი პუტინი უნგრეთის პრემიერ ორბანს დაუკავშირდა. ამის შემდეგ გამოცემა „ბლუმბერგმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ უნგრეთი უკრაინისათვის ევროკავშირის მორიგ ტრანშს დაბლოკავს.

რუსი ექსპერტი ანდრეი პიონტკოვსკი აცხადებს, რომ პუტინ-ორბანს შორის გარკვეული შეთანხმება მოხდა. ამავე დროს, ის ეჭვობს, რომ ორბანმა რუსეთის დიქტატორის დაკვეთა შეასრულოს.

– ამით უნგრეთი ევროკავშირს გადაიმტერებს, – მიიჩნევს პიონტკოვსკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სომეხმა ჯაზმომღერალმა არპი პეტროსიანმა სიმღერები „ბრავო რექორდსში“ ჩაწერა

**დასაწყისი მე-8 გვერდზე**

მრავალ ქვეყანაში. ბევრი იწერება მის ფიზიკურ მსგავსებაზე ცნობილ კინომსახიობ ჯულია რობერტსთან. ზოგი თაყვანისმცემელი თვლის, რომ არპი ლეგენდარული კინომსახიობის ქალიშვილია.

ცნობილი ქართველი მუსიკალური პროდიუსერის ნატო დუმბაძის შუამავლობითა და დახმარებით არპიმ „ბრავო რექორდსის“ სტუდიებში თავისი ახალი ლათინოამერიკული ალბომის ორ სიმღერაზე იმუშავა. ჩაწერის პროცესში „ბრავო რექორდსის“'მთავარ ხმის რეჟისორ ალეკო ბერძენიშვილთან ერთად, მონაწილეობდა ნიჭიერი ქართველი მუსიკოსი გიორგი სამსონაძე.

მომღერალმა ქართველ მუსიკოსებთან: ლუკა თოფურიასთან (კლავიშები), გიორგი სამსონაძესთან (კონტრაბასი) და სოსო ცაგარეიშვილთან (დასარტყამი ინსტრუმენტები) ერთად „ბრავო რექორდსის“ სტუდიებში ახალი საშობაო სიმღერის ჩაწერა დაგეგმა, რომელიც ამერიკელმა კომპოზიტორმა ლენი ზინიმ სპეციალურად მისთვის დაწერა. მომღერალი ამ სიმღერაზე თბილისში ვიდეოკლიპის გადაღებასაც გეგმავს.

არპი პეტროსიანი პროფესიით პიანისტია, უმაღლესი განათლება სომხეთის ხაჩატურ აბოვიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში მიიღო და მაგისტრატურაც დაამთავრა. მისი პროფესიული მუსიკალური კარიერა 2011 წელს გეღარდის მონასტრის ვოკალურ ანსამბლში დაიწყო, ხოლო 2013 წლიდან ალექსანდრე სპენდერიანის სახელობის სომხეთის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაგრძელდა. ასევე რამდენიმე წლის განმავლობაში არპი სომხეთის თანამედროვე მუსიკის ჯგუფის სოლისტად მუშაობდა.

მომღერალმა იუთუბის პლატფორმისა და სოციალური ქსელების საშუალებით ბოსსანოვას სტილში შესრულებული ცნობილი სიმღერებისა და ჯაზსტანდარტების წყალობით მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა. მას ხშირი საკონცერტო ტურნეები აქვს ამერიკის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. თავისი პირველი ალბომი მუსიკოსმა გასულ წელს გამოუშვა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# თორნიკე შენგელია ნაკრებს კარგ ხასიათზე შეუერთდა



თორნიკე შენგელიამ ევროლიგაზე კარგი მატჩი ჩაატარა და რეიკიავიკში საქართველოს ნაკრებთან შესაერთებლად ჩინებულ ხასიათზე მიემგზავრება. ქართველი კალათბურთელის კლუბმა ვირტუს ბოლონიამ ევროპის ტოპსაკლუბო ტურნირში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ბოლონიელები მილანში არმანის შეხვდნენ და 64:59 დაამარცხეს.

თორნიკე შენგელიამ ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და ბოლონიელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 21:30 წუთი ითამაშა, რა დროშიც 8-დან 3 ორქულიანი და 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო. შენგელიამ 2-დან ვერცერთი საჯარიმო ვერ გამოიყენა და მატჩი 12 ქულით, 2 მოხსნითა და 2 პასით დაასრულა.

ვირტუსისთვის ეს სეზონში მესამე მოგება იყო. შენგელიას გუნდი 18-გუნდიან ჩემპიონატში მე-14 ადგილზეა და ევროლიგის მომდევნო ტურში ვალენსიას უმასპინძლებს.

თორნიკე ისლანდიაში გუშინვე გაემგზავრა, რეიკიავიკში ნაკრებს შეუერთდება და საღამოს ილიას ზუროსის გენერალურ ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა.

გადავინაცვლოთ ოკეანის გაღმა, სადაც არცთუ ხშირი ფაქტის მომსწრე გავხდით – ნბა-ში ორმა ქართველმა ითამაშა. თუმცა, გოგა ბითაძესაც და სანდრო მამუკელაშვილსაც მცირე დრო დაეთმოთ.

ბითაძის ინდიანა შინ დენვერს დაუხვდა და 119:122 დამარცხდა. ჩვენებური თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე 6:38 წუთი გაატარა. ამ დროში ბითაძემ მხოლოდ 2 ქულა და თითო მოხსნა-პასი ჩაიწერა აქტივში, პასივში კი 2 დაკარგვა და 2 ფოლი ჰქონდა. გოგამ სამი ორქულიანიდან 1 გამოიყენა, პერიმეტრიდან კი ერთხელ ესროლა და ააცილა.

ინდიანას 5 მოგება და 6 მარცხი აქვს. ამ მაჩვენებლით გუნდი კონფერენციაში მერვე ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი 13 ნოემბერს ტორონტოსთან გამართავს.

6:10 წუთი დაეთმო მამუკელაშვილს, რომლის მილუოკიმ ოვერტაიმში სტუმრად ოკლაჰომას მოუგო – 136:134.

მამუს ქულა არ ჰქონია, მცდელობა კი ჰქონდა – თითო სამქულიანი და ორქულიანი ააცილა. სამაგიეროდ, 3 მოხსნა ჰქონდა.

მილუოკელებს 10 მოგება და 1 მარცხი აქვთ. შედეგად, კონფერენციას ლიდერობენ. მომდევნო შეხვედრა მათ 12 ნოემბერს სან ანტონიოსთან უწევთ.

# ფუტსალის ნაკრებმა ელიტრაუნდში გასვლა გაინაღდა

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეინ რაუნდში მესამე გამარჯვება იზეიმა.

ავთანდილ ასათიანის გუნდმა ავსტრიასთან უხვგოლიან შეხვედრაში 6:4 გაიმარჯვა. თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარებულ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ოთხი გოლი ბრუნო პეტრიმ გაიტანა, ხოლო თალესმა დუბლი შეასრულა.

ავსტრიასთან გამარჯვების შემდეგ საქართველოს ფუტსალის ნაკრები ჯგუფს 9 ქულით ლიდერობს და მინიმუმ მეორე ადგილი გარანტირებული აქვს. მეინ რაუნდის დასკვნით შეხვედრას ავთანდილ ასათიანის გუნდი 2023 წლის 7 მარტს მეორე ადგილზე მყოფი ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ, სტუმრად გამართავს.

შეგახსენებთ, რომ ელიტრაუნდის საგზურს 12 ჯგუფის გამარჯვებულები და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი მოიპოვებენ, დარჩენილი 8 მეორეადგილოსანი კი ბრძოლას ფლეი ოფში გააგრძელებს.

**ავთანდილ ასათიანი:**

– მთავარი მიზანი შევასრულეთ და ცხრა ქულა გვაქვს, რაც 99%-ით ელიტრაუნდის საგზურს გვაძლევს. თამაშის ხარისხით კმაყოფილი არ ვარ. არაერთხელ ვთქვი, რომ მოწინააღმდეგის დაფასება აუცილებელია და სატურნირო ცხრილმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. საბოლოო ჯამში, კარგია, რომ გავიმარჯვეთ, ცხრა ქულა ცოტა თავისუფლების საშუალებას გვაძლევს. ბოლო ტურში გადაწყდება პირველი ადგილის ბედი, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებლად პირველი ადგილით უნდა გავიდეთ ჯგუფიდან.

მინდა აღვნიშნო ჩვენი გულშემატკივრების მხარდაჭერა. არ მეგონა, თუ ამდენი ადამიანი დაგვიჭერდა მხარს. დარწმუნებული ვარ, მათ გარეშე ამ თამაშს ვერ შემოვატრიალებდით. დიდი მადლობა ჩემი და ბიჭების სახელით. ერთად უნდა მოვიგოთ, რადგან გულშემატკივრების გარეშე სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

**ირაკლი თოდუა, საქართველოს ფუტსალის ნაკრების წევრი:**

– რთული თამაში გამოდგა. მეტოქემ ძალიან კარგად ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის მიმდინარეობისას რამდენჯერმე წინ იყვნენ, მოვახერხეთ თამაშის შემობრუნება და სასურველი შედეგის დაფიქსირება. მთავარია, რომ პროგრამა მინიმუმი შევასრულეთ და შემდეგ ეტაპზე ფაქტობრივად გავედით, თუმცა მარტში დაგვრჩა ბელგიასთან გასვლითი შეხვედრა და ვეცდებით, რომ პირველი ადგილით გავიდეთ, რადგან შემდეგ ეტაპზე აუცილებელი იქნება, მაღალ კალათში ვიყოთ განთესილები.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# საქართველო სამოასთვის დაირაზმა

6 ნოემბერს ურუგვაისთან (34:18) მოგებული მატჩის შემდეგ, „ბორჯღალოსნების“ სამწვრთნელო შტაბმა სამოასთან გასამართი მატჩისთვის სასტარტო შემადგენლობაში ოთხი ცვლილება განახორციელა, ხოლო მარქაფაში სამი ახალი სახეა.

საქართველო სამოას 12 ნოემბერს „დინამო არენაზე“ 18 საათზე ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში დიდი შანსია, მსოფლიო რეიტინგში სარეკორდო მე-11 ადგილზე დაწინაურდეს.

როტაციის პრინციპით, სამი ცვლილებაა შერკინებაში. კვაჭმა შალვა მამუკაშვილმა, მეორეხაზელმა ლადო ჩაჩანიძემ და მესამეხაზელმა თორნიკე ჯალაღონიამ მარქაფაში გადაინაცვლეს. მათ ნაცვლად მარქაფიდან ძირითადში დაწინაურდნენ გიორგი ჭყოიძე, ნოდარ ჭეიშვილი და ოთარ გიორგაძე. ტრავმა მიიღო და ნოემბრის ტესტები დაასრულა შუამარბმა გიორგი კვესელაძემ. მის ნაცვლად ძირითადში დემე თაფლაძე დაწინაურდა.

სამი ახალი სახეა მარქაფაში და მათგან ერთ-ერთი დებიუტანტია ლა როშელის ბურჯი ალექსანდრე ქუნთელია, რომელსაც ფრანგული კლუბის პირველ გუნდში, ტოპ 14-ში სადებიუტო თამაში ცოტა ხნის წინ ჰქონდა. მარქაფაში გამოჩნდნენ გამოცდილი უკანახაზელები – ლაშა ხმალაძე და მირიან მოდებაძე.

**ლევან მაისაშვილი:**

– სამწუხაროდ, ტრავმის გამო კვესელაძე გამოგვაკლდა და უელსთანაც ვერ დაგვეხმარება. კარგი ისაა, რომ დაზიანების ხარისხი დიდი არაა და წესით რეაბილიტაცია მალე უნდა გაიაროს. ასევე მცირე ტრავმა აქვს აბდალაძეს, ამ კვირაში ვერ ივარჯიშა და მარქაფაში დებიუტანტი სანდრო ქუნთელია გვყავს. ის ახალგაზრდაა და გვესმის, რომ ძალიან დიდ ტვირთს ვკიდებთ, თუმცა, დარწმუნებული ვარ ამოცანას კარგად გაართმევს თავს. სამწვრთნელო შტაბის მოსაზრებებიდან გამომდინარე, როტაცია გვაქვს მესამე ხაზში. რეაბილიტაცია დაასრულა და მარქაფაშია მირიან მოდებაძე, ასევე ლაშა ხმალაძე. სამოასთან მნიშვნელოვანი თამაში გველოდება და არ იქნება მარტივი. მეტოქეს ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ იტალიასთან თავი ვერ წარმოაჩინა და ჩვენთან ეცდება სიტუაციის გაუმჯობესებას. ურუგვაისთან მატჩის შემდეგ მოსამზადებლად სულ ორი ვარჯიში გვქონდა, მაგრამ გვყავდა ტრავმირებული მოთამაშეები და რამდენიმე მათგანმა სრულფასოვნად ვერ ივარჯიშა. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ შეხვედრას კარგად მომზადებულები ვხვდებით და მაქსიმუმს გავიღებთ, რათა მაყურებლის წინაშე ღირსეულად წარვდგეთ.

სამოა საქართველოს მეოთხედ ეწვევა და 12 ნოემბერს „ბორჯღალოსნებთან“ ისტორიაში მეექვსედ ითამაშებს. წლის ბოლო საშინაო შეხვედრა „დინამო არენაზე“ 18 საათზე დაიწყება.

1991 წლიდან დღემდე სამოამ ყველა – 8-ვე მსოფლიო თასზე ითამაშა და ორჯერ მეოთხედფინალშიც გავიდა (1991, 1995). 2023 წლის მსოფლიო თასის საგზური კუნძულელებმა ოკეანეთი 1-ის სახელით მოიპოვეს და საფრანგეთში დ ჯგუფში, ინგლისთან, იაპონიასთან, არგენტინისა და ჩილესთან მოხვდნენ.

ზაფხულში სამოელებმა წყნარი ოკეანის თასზე ავსტრალია ბ, ტონგა და ფიჯი დაამარცხეს და ტიტულის მფლობელები გახდნენ. საქართველოში ჩამოსვლამდე ისინი იტალიას ეწვივნენ და 17:49 დამარცხდნენ.



შედეგად, სამოა მსოფლიო რეიტინგში 74,33 ქულით მე-14 ადგილზე დაქვეითდა. საქართველო 74,51 ქულით მე-13 პოზიციაზეა. მას 0,20 ქულით უსწრებს იტალია და 0,33-ით – ფიჯი. ამრიგად, თუ „ბორჯღალოსნები“ 12 ნოემბერს „დინამო არენაზე“ მოიგებენ, ხოლო იტალია (ავსტრალიასთან) და ფიჯი (ირლანდიასთან) დამარცხდებიან, „ბორჯღალოსნები“ სარეკორდო მე-11 ადგილზე დაწინაურდებიან.

ტრადიციულად, სამოელები თამაშის წინ ასრულებენ საბრძოლო ცეკვა სივა ტაუს, რაც მეტოქის მიმართ პატივისცემის გამოხატულებაა.

„ბორჯღალოსნებს“ სამოას წინააღმდეგ 5-ჯერ უთამაშია და მეტოქესთან დადებითი ბალანსი აქვს – 3 მოგება, 1 ფრე და 1 მარცხი, ისიც 19 წლის წინ, 2003 წლის სადებიუტო მსოფლიო თასზე პერთში 9:46. მას შემდეგ 10 წელი ველოდეთ კუნძულელებთან ტესტ-მატჩს და 2013 წელს იმ დროისთვის უძლიერეს სამოას თბილისში 16:15 ვაჯობეთ.

2016 წელს წყნარი ოკეანის კუნძულებზე ტურნეზე მყოფმა „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქესთან ფრედ 19:19 ითამაშეს. იმავე წელს სამოა თბილისში მივიღეთ და 20:16 დავამარცხეთ, ბოლოს კი 2018 წელს „ავჭალაზე“ ვუმასპინძლეთ და, დიდი ჩამორჩენის მიუხედავად, საბოლოოდ 27:19 გავიმარჯვეთ. 2003 წლის მატჩის შედეგად, გატანილ და გაშვებულ ლელოებსა და ქულებში მეტოქე ლიდერობს. სამოასთვის საქართველოს გატანილი აქვს 7 ლელო და მიღებული – 13, ხოლო ქულების თანაფარდობა 91:115-ზეა.

მსოფლიო რაგბის მიერ წესებში შეტანილი ცვლილების შემდეგ თბილისში ორი სამოელი „ოლ ბლექსი“ მოდის – სტევენ ლუატუა, რომლის ანგარიშზე ახალი ზელანდიის კვართით 15 მატჩია და ჯეფრი ტოომაგა-ალენი (1 კეპი). გუნდშია დუნკან პაიააუა, რომელიც ავსტრალიის ნაკრებში იყო გამოძახებული, თუმცა დებიუტმა არ მოუწია.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა სამოასთან მატჩში:**

**ხაზი:** დავით ნინიაშვილი, აკა ტაბუცაძე, დემე თაფლაძე, მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა, თედო აბჟანდაძე, ვასილ ლობჟანიძე;

**შერკინება:** გურამ გოგიჩაშვილი, გიორგი ჭყოიძე, გურამ პაპიძე, ნოდარ ჭეიშვილი, კოტე მიქაუტაძე, ოთარ გიორგაძე, ბექა სალინაძე, ბექა გორგაძე;

**მარქაფა:** შალვა მამუკაშვილი, ნიკა აბულაძე, ალექსანდრე ქუნთელია, ლადო ჩაჩანიძე, თორნიკე ჯალაღონია; ლუკა მატკავა, ლაშა ხმალაძე, მირიან მოდებაძე.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*



საქართველოს საფეხბურთო ნაკრები წლის ბოლო შეხვედრას მაროკოს წინააღმდეგ გამართავს. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი საქართველოსა და მაროკოს შორის არაბეთის გაერთიანებული საამიროების ქალაქ შარჯაში 17 ნოემბერს შედგება.

# ვილი სანიოლის შეტევითი პრობლემა

ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა ამხანაგური მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. ეროვნული ნაკრებში მაროკოსთან მატჩისთვის 22 ფეხბურთელია გამოძახებული.

შემადგენლობაში ორი დებიუტანტია – 21 წლამდე ნაკრების წევრები გიორგი გოჩოლეიშვილი და საბა საზონოვი. ჩვენი გუნდი თბილისში 14 ნოემბერს შეიკრიბება, მომდევნო დღეს კი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში გაემგზავრება.

მაროკოსთან მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ გიორგი მიქაუტაძე და დავით ხოჭოლავა, რადგან მათ გუნდებს თამაში აქვთ. ტრავმის გამო არ იქნება ბუდუ ზივზივაძე. ასე რომ, შეტევაში მეტ-ნაკლებად პრობლემები გვექნება.

**სანიოლის გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარე:** გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), ჯემალ ტაბიძე (დინამო, თბ), საბა საზონოვი (დინამო, რუსეთი);

**ნახევარდაცვა:** საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), გიორგი წიტაიშვილი, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ლეხი, პოლონეთი), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო, თბ), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო, ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი გოჩოლეიშვილი (საბურთალო);

**თავდასხმა:** გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), გიორგი ბერიძე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი).

საქართველოსა და მაროკოს ნაკრებების მატჩი 17 ნოემბერს, 20:00 საათზე დაიწყება.

# შედეგები

**9 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

## ამხანაგური მატჩები

კამერუნი-იამაიკა ........................ 1:1
ალბანეთი-კატარი ........................ 0:1
მექსიკა-ერაყი ........................ 4:0
კოსტა რიკა-ნიგერია ........................ 2:0

## გერმანია. ბუნდესლიგა

კიოლნი-ლევერკუზენი ........................ 1:2
აინტრახტი-ჰოფენჰაიმი ........................ 4:2
ლაიფციგი-ფრაიბურგი ........................ 3:1
უნიონი-აუგსბურგი ........................ 2:2
შალკე-მაინცი ........................ 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 14 | 9 | 4 | 1 | 47-13 | 31 |
| 2.უნიონი | 14 | 8 | 3 | 3 | 23-16 | 27 |
| 3.ფრაიბურგი | 14 | 8 | 3 | 3 | 21-16 | 27 |
| 4.აინტრახტი | 14 | 8 | 2 | 4 | 31-23 | 26 |
| 5.ლაიფციგი | 14 | 7 | 4 | 3 | 28-20 | 25 |
| 6.დორტმუნდი | 14 | 8 | 1 | 5 | 23-17 | 25 |
| 7.ვერდერი | 14 | 6 | 3 | 5 | 24-25 | 21 |
| 8.ვოლფსბურგი | 14 | 5 | 5 | 4 | 22-19 | 20 |
| 9.გლადბახი | 14 | 5 | 4 | 5 | 24-22 | 19 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 14 | 5 | 3 | 6 | 21-20 | 18 |
| 11.მაინცი | 14 | 5 | 3 | 6 | 18-23 | 18 |
| 12.კიოლნი | 14 | 4 | 5 | 5 | 21-27 | 17 |
| 13.ლევერკუზენი | 14 | 4 | 3 | 7 | 23-26 | 15 |
| 14.აუგსბურგი | 14 | 4 | 3 | 7 | 18-25 | 15 |
| 15.შტუტგარტი | 14 | 3 | 5 | 6 | 18-25 | 14 |
| 16.ჰერტა | 14 | 2 | 5 | 7 | 17-22 | 11 |
| 17.ბოხუმი | 14 | 3 | 1 | 10 | 13-36 | 10 |
| 18.შალკე | 14 | 2 | 3 | 9 | 13-30 | 9 |

## გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანზა-ნიურნბერგი ........................ 1:1
ფიურტი-ჰამბურგი ........................ 1:0
ზანდჰაუზენი-ჰაიდენჰაიმი ........................ 3:4
რეგენსბურგი-ბრაუნშვაიგი ........................ 1:1

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალმერია-ხეტაფე ........................ 1:0
სევილია-სოსიედადი ........................ 1:2
ესპანიოლი-ვილიარეალი ........................ 0:1
მალიორკა-ატლეტიკო ........................ 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 14 | 12 | 1 | 1 | 33-5 | 37 |
| 2.რეალი | 13 | 10 | 2 | 1 | 31-13 | 32 |
| 3.სოსიედადი | 14 | 8 | 2 | 4 | 18-16 | 26 |
| 4.ბილბაო | 14 | 7 | 3 | 4 | 24-14 | 24 |
| 5.ატლეტიკო | 14 | 7 | 3 | 4 | 21-14 | 24 |
| 6.ბეტისი | 13 | 7 | 3 | 3 | 17-9 | 24 |
| 7.ოსასუნა | 14 | 7 | 2 | 5 | 16-14 | 23 |
| 8.ვილიარეალი | 14 | 6 | 3 | 5 | 15-10 | 21 |
| 9.რაიო | 13 | 6 | 3 | 4 | 20-16 | 21 |
| 10.მალიორკა | 14 | 5 | 4 | 5 | 13-13 | 19 |
| 11.ვალიადოლიდი | 14 | 5 | 2 | 7 | 13-21 | 17 |
| 12.ვალენსია | 13 | 4 | 4 | 5 | 19-15 | 16 |
| 13.ხირონა | 14 | 4 | 4 | 6 | 20-22 | 16 |
| 14.ალმერია | 14 | 5 | 1 | 8 | 16-22 | 16 |
| 15.ესპანიოლი | 14 | 3 | 6 | 5 | 17-21 | 15 |
| 16.ხეტაფე | 14 | 3 | 5 | 6 | 12-20 | 14 |
| 17.სევილია | 14 | 2 | 5 | 7 | 13-22 | 11 |
| 18.სელტა | 13 | 3 | 2 | 8 | 14-26 | 11 |
| 19.კადისი | 13 | 2 | 5 | 6 | 8-24 | 11 |
| 20.ელჩე | 14 | 0 | 4 | 10 | 10-31 | 4 |

## იტალია. სერია ა

ლეჩე-ატალანტა ........................ 2:1
სასუოლო-რომა ........................ 1:1
ინტერი-ბოლონია ........................ 6:1
ტორინო-სამპდორია ........................ 2:0
ფიორენტინა-სალერნიტანა ........................ 2:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 14 | 12 | 2 | 0 | 34-10 | 38 |
| 2.მილანი | 14 | 9 | 3 | 2 | 27-14 | 30 |
| 3.ლაციო | 13 | 8 | 3 | 2 | 25-8 | 27 |
| 4.ინტერი | 14 | 9 | 0 | 5 | 31-20 | 27 |
| 5.ატალანტა | 14 | 8 | 3 | 3 | 20-12 | 27 |
| 6.რომა | 14 | 8 | 2 | 4 | 17-13 | 26 |
| 7.იუვენტუსი | 13 | 7 | 4 | 2 | 20-7 | 25 |
| 8.უდინეზე | 14 | 6 | 6 | 2 | 22-14 | 24 |
| 9.ტორინო | 14 | 6 | 2 | 6 | 15-16 | 20 |
| 10.ფიორენტინა | 14 | 5 | 4 | 5 | 17-18 | 19 |
| 11.სალერნიტანა | 14 | 4 | 5 | 5 | 20-20 | 17 |
| 12.სასუოლო | 14 | 4 | 4 | 6 | 15-19 | 16 |
| 13.ბოლონია | 14 | 4 | 4 | 6 | 17-25 | 16 |
| 14.ემპოლი | 14 | 3 | 5 | 6 | 10-19 | 14 |
| 15.მონცა | 13 | 4 | 1 | 8 | 13-21 | 13 |
| 16.ლეჩე | 14 | 2 | 6 | 6 | 12-17 | 12 |
| 17.სპეცია | 14 | 2 | 4 | 8 | 12-25 | 10 |
| 18.კრემონეზე | 14 | 0 | 7 | 7 | 11-24 | 7 |
| 19.სამპდორია | 14 | 1 | 3 | 10 | 6-25 | 6 |
| 20.ვერონა | 13 | 1 | 2 | 10 | 11-26 | 5 |

## ნიდერლანდები. ეიერდივიზიონი

აიაქსი-ვიტესი ........................ 2:2

## შოტლანდია. პრემიერლიგა

დ.იუნაიტედი-კილმანროკი ........................ 4:0
მოზერველი-სელტიკი ........................ 1:2
რეინჯერსი-ჰარტსი ........................ 1:0
სტ.მირენი-სტ.ჯონსონი ........................ 2:2

## უკრაინა. პრემიერლიგა

კრივბასი-ვორსკლა ........................ 1:0
ვერესი-შახტარი ........................ 0:2
კოლოსი-დნიპრო ........................ 1:3

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. როკ-ჯგუფ „ქუინის“ ლიდერი; 2. ადამიანის, ცხოველის ჩანასახი; 3. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 4. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 5. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილი; 10. ამერიკული ჯიპი; 11. ნადირისგან დამცავი ძაღლის ეკლებიანი ყელსაბამი; 12. გემზე კაპიტნის თანაშემწე, უმცროსი მეთაური; 13. თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; 16. თაღლითი, რომელიც რაიმე საქმის სპეციალისტად ასაღებს თავს; 17. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. ბულგარეთის პირველი მეფე; 21. გერმანელი ფილოსოფოსი; 23. საკვების შესაფუთად გამოყენებული ფერადი ლითონის თხელი ფურცლები.

**თარაზულად:** 6. ბოკაჩოს რომანი; 7. ჩაის ფოთლებსა და ყავის მარცვლებში არსებული ალკალოიდი; 8. წავისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 9. შეძენილი ჭკუასუსტობა; 14. მიწის სათხრელი მანქანა; 15. გრძნობის ნერვის დაბოლოება, რომელიც რეაგირებს გაღიზიანებაზე; 18. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა პატარა ჯგუფი; 20. მოხალისეთა ჯარი; 22. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 24. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 25. სპილენძის შემცველი მწვანე, ხასხასა მინერალი; 26. ალექსანდრე ყაზბეგის რომანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბექაური; 2. არგუმენტი; 3. ესკულაპი; 4. ლაუდერი; 5. ნაგანო; 9. რიგელი; 11. შაბლონი; 12. ბაროკო; 14. სამსუნი; 18. იახტა; 19. სეიმი.

**თარაზულად:** 4. ლაზერი; 5. ნეგროიდი; 6. ისანი; 7. მურტალო; 8. სუზარი; 10. პუნში; 13. როსინი; 15. ელეგია; 16. პოლო; 17. ფიცი; 20. სკვერი; 21. ხორუმი; 22. ვატმანი; 23. მაკეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჩედვიკი; 2. საფირონი; 3. დიპლომატი; 4. პრატერი; 5. მანერგეიმი; 10. მალაგა; 11. ფარავანი; 12. ბოდერი; 13. ლეკლერი; 16. მონტესუმა; 17. კიმიგაიო; 19. ავლაბარი; 21. გესლი; 23. აჭარა.

**თარაზულად:** 6. დეგრადაცია; 7. კრიტიკა; 8. წიქარა; 9. კორონერი; 14. დეკალოგი; 15. დინოზავრი; 18. კენია; 20. ლიპტონი; 22. პიანინო; 24. ბეზოსი; 25. ჩურჩხელა; 26. კარტიე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7261

ევრო — 2.7114

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1028

100 რუსული რუბლი — 4.4477

## ამინდის პროგნოზი 11 ნოემბრისათვის




## ლევანდოვსკი:„მსაჯისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია“

ბარსელონის ლიდერი რობერტ ლევანდოვსკი ოსასუნასთან შეხვედრის დროს გააძევეს, ხოლო შემდეგ მან მსაჯს უხამსი ჟესტი უჩვენა, მაგრამ თვითონ რობერტი ირწმუნება, რომ მსგავსი რამ არ მომხდარა: „მსაჯისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და მე, უბრალოდ, ხავის ვანიშნე რაღაც. ამიტომ, იმედი მაქვს, მკაცრად არ დავისჯები. გუნდი დავაღალატე, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიგეთ და ბედნიერი ვარ“.

## კვარაცხელია, სავარაუდოდ, უდინეზესთან ითამაშებს



ნაპოლის ქართველი ლეგიონერი ხვიჩა კვარაცხელია, დიდი ალბათობით, უდინეზეს წინააღმდეგ ითამაშებს, თუმცა, შესაძლოა, ის მოედანზე ცვლილებაზე გამოვიდეს, რადგან ხვიჩას ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს. შეგახსენებთ, რომ ნაპოლიმ ქართველი ფორვარდის გარეშე ორი თამაშის მოგება შეძლო, მაგრამ შეტევაში მათ სიმწვავე აშკარად აკლდათ. კვარაცხელიამ ტრავმა ლივერპულთან მატჩის დროს მიიღო.

## პიკე: „ბარსელონის თამაშებს აუცილებლად დავესწრები“



ჟერარ პიკემ კარიერა დაასრულა და, ბუნებრივია, ხშირად ეკითხებიან იმის შესახებ, თუ რას გააკეთებს მომავალში. პიკემ განაცხადა, რომ ეს ჯერ ზუსტად არ იცის. პიკეს თქმით, ის გააგრძელებს ბარსელონის გულშემატკივრობას: „ბარსელონა უკვე მენატრება. ამ გუნდში ჩემი კარიერის ძალიან დიდი ნაწილი გავატარე. ბარსელონის თამაშებს აუცილებლად ვუყურებ და, როცა დრო მექნება, სტადიონზე აუცილებლად მივალ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## სომეხმა ჯაზმომღერალმა არპი პეტროსიანმა სიმღერები „ბრავო რექორდსში“ ჩაწერა




ცნობილმა სომეხმა ჯაზმომღერალმა და კომპოზიტორმა არპი პეტროსიანმა სიმღერები „ბრავო რექორდსში“ ჩაწერა.

ინფორმაცია „ბრავო რექორდსის“ ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ გაავრცელა:

— უკანასკნელ თვეებში მუსიკის ქართველ მსმენელებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდა სომეხი ჯაზმომღერალი და კომპოზიტორი არპი პეტროსიანი, რომლის ვიდეოებსაც იუთუბის არხზე და სოციალარ ქსელში უამრავი ნახვა-გაზიარება და მოწონება აქვს. თავისი განსაკუთრებული ხმის ტემბრის, შესრულების მანერისა და არაჩვეულებრივი გარეგნობის წყალობით მას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს მსოფლიოს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



11 ნოემბრისათვის

**ვერძი** — მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **კურო** — კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ტყუპები** — ვიღაც დაუფარავად ცდილობს თქვენს გაცურებას. იფხიზლეთ, თაღლითების ანკესს ნუ წამოეგებით. **კირჩხიბი** — დასამახსოვრებელი დღეა. ცხოვრებაში კორექტივები შეგაქვთ. აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. **ლომი** — სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **ქალწული** — საქმიანი კონტაქტები წარმატებული იქნება. იყავით დამოუკიდებელი. **სასწორი** — ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **ღრიანკალი** — წინდაუხედაობა არასასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. დაფიქრდით, სანამ რამეს გადაწყვეტთ. **მშვილდოსანი** — ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **თხის რქა** — პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მერწყული** — ეცადეთ, წვრილმანი კამათი თავიდან აირიდოთ. უმჯობესია, თუ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დღესვე დაიწყებთ. **თევზები** — რთული დღეა. ემოციურად დათრგუნული ხართ. განმარტოვდით და ენერგია მოიკრიბეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს უყვება:
— წუხელის ჩემი ქმარი მთვრალი მოვიდა. გაიხადა. სიჩუმეა. არც ის იღებს ხმას, არც მე. ასე გავიდა 10 წუთი და უცბად იღრიალა: „დაიყვირე მაინც შე შობელძაღლო, საწოლს რომ მოვაგნო!!!“

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
— რა დაგვემართებოდა, თუ აღარ ვიქნებოდით ძუნწები, ხარბები, შურიანები, ნაძირალები, მოღალატეები და ვიქნებოდით ერთგულები, შევძლებდით გულწრფელ მეგობრობასა და სიყვარულს?
— ამოგვივიდოდა ბეწვები, გაგვეზრდებოდა კუდი და ძაღლებად გადავიქცეოდით.

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ურეკავს და ეკითხება:
— რას შვრებით, ჰელოუინს ზეიმობთ?
— ჩვენ არ ვზეიმობთ, ჩვენ ვცხოვრობთ ჰელოუინში.

●●●

ცოლი სამსახურში მყოფ ქმარს ურეკავს:
— ძვირფასო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი.
— საყვარელო, ყელამდე საქმე მაქვს, არ მცალია, მხოლოდ კარგი მითხარი და მოკლედ.
— მოკლედ, უსაფრთხოების ბალიშმა იმუშავა.

●●●

ბავშვი შემორბის სახლში და დედას ეუბნება:
— დედიკო, ეზოში ბავშვები რქიან ვირს მეძახიან.
— რა მერე?
— მაინტერესებს, რომელს გგავართ, შენ თუ მამას?
— რა თქმა უნდა, მამას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ტელეწამყვანი ლია მიქაძე გარდაიცვალა




საქართველოს ტელემაუწყებლობის პირველი ტელეწამყვანი ლია მიქაძე 86 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**გოგა ჩართოლანი, ჟურნალისტი:**

— ძალიან გული დამწყვიტა ჩემი უფროსი მეგობრისა და კოლეგის გარდაცვალებამ. თუ სიტყვა ვარსკვლავი ვინმეს ეკუთვნის საქართველოში, უპირველესად ლია მიქაძეს და, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ინიციატივითა და პირველი არხის, მთაწმინდის პარკისა და კულტურის პალატის მხარდაჭერით, მთაწმინდის პარკში მისი სახელობის ვარსკვლავი გავხსენით. მადლობა, ქალბატონო ლია, იმ პირველობისთვის ქართულ ტელევიზიაში, რომელსაც მთელი ცხოვრება ინარჩუნებდით.

## მამუკა ჩარკვიანი მონატრებულ მსმენელს უმღერებს



მომღერალი მამუკა ჩარკვიანი მონატრებულ მსმენელს 18 ნოემბერს შეხვდება.

ვახტანგ სალარიძის სახელობის საკონცერტო დარბაზში მომღერლის შემოქმედებით საღამოზე ყველა ის მონატრებული ჰიტი აჟღერდება, რომლებიც ათასობით ადამიანს ყველაზე მეტად უყვარს.

„კესანები“ — ასე ჰქვია მამუკა ჩარკვიანის საღამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის მომღერლები: ზუკა ხუციშვილი, მაგდა ნიკოლაიშვილი, გიორგი მეფისაშვილი, ლაშა ღლონტი და ჯგუფი „ალილო“.

## საბა საფარელი ქუთაისის სკოლებში კონცერტებს გამართავს



ქუჩის მუსიკოსი საბა საფარელი ქუთაისის სკოლებს ეწვევა და საქველმოქმედო საღამოებს გამართავს:

— მსურს, სიხარულით გაცნობოთ, რომ ჩემი დიდი ხნის სურვილს ფრთები შეესხა და საშუალება მეძლევა, ქუთაისის ყველა სკოლას ვეწვიო და ახალგაზრდებს ჩემი შემოქმედებით მოვეფერო.

საგულისხმოა, რომ ქუთაისში 38 საჯარო და 10 კერძო სკოლაა. დამეთანხმეთ, რთული იყო, ეს სურვილი საქმედ მექცია, რადგან ამას ნებართვა სჭირდება! გვერდში დამიდგა იშვიათი პატრიოტი კაცი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ისრაელის საქველმოქმედო ფონდ „გულთა კავშირის“ ვიცეპრეზიდენტი მერაბ კვიცარიძე. მან ამ კეთილ საქმეში ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტების ჩართვის იდეაც შემომთავაზა, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი.

და აი ასე პირველი საღამოც დაიგეგმა. 11 ნოემბერს ქუთაისის სახელგანთქმულ პირველ სკოლას შესანიშნავ ახალგაზრდა პოეტთან სულხან წულუკიძესთან და თვით ბატონ მერაბთან ერთად ვეწვევი.

ღონისძიება საქველმოქმედო ხასიათისაა. რა თქმა უნდა, დასწრება თავისუფალია.

მსურს, მადლობა გადავუხადო განათლების სამინისტროს, მადლობა ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს — ქალბატონ მაიკო ცქიტიშვილს. მადლობა ყველას, ვინც გაიხარებს ამ სიახლით და გულით გვისურვებს წარმატებებს.

მომდევნო სკოლა ფიზმატი იქნება აუცილებლად!

## რუსთაველის თეატრი გერმანიაში მიიწვიეს

რუსთაველის თეატრი

რუსთაველის ეროვნული თეატრი „ინკულტურ-ინკლუზიისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის“ პროგრამის ფარგლებში გერმანიაში, ქალაქ ბერლინში 5-დღიან ტურში მონაწილეობდა.

პროექტს ასოციაცია „ანიკა“ ერთ-ერთ ორგანიზაციასთან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ერთად ახორციელებს. პროექტის მიზანია, აღმოსავლეთ ევროპაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა ხელოვნებასა და კულტურაზე.

შეხვედრის ფარგლებში, რომელიც გაიმართა რაიხსტაგში — გერმანიის პარლამენტში, ბერლინის თეატრში, ოპერასა და მუზეუმებში, რუსთაველის ეროვნულ თეატრს შესაძლებლობა მიეცა, გაეზიარებინა კულტურის სფეროს წარმომადგენლებისა და ექსპერტებისთვის საკუთარი გამოცდილება ამ მიმართულებით: გასული სეზონის განმავლობაში რუსთაველის ეროვნულ თეატრში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიური ჩართულობით.

რუსთაველის ეროვნულ თეატრში სამომავლოდ იგეგმება, დაინერგოს ის საერთაშორისო მიდგომა, რომელიც კულტურის ხელმისაწვდომობის კუთხით ევროპის თეატრებსა თუ მუზეუმებშია.

## თაკო ნაცვლიშვილმა თეთრეულის ბრენდი შექმნა



მოდელმა თაკო ნაცვლიშვილმა დიდი ხნის ოცნება აისრულა და თეთრეულის ეკო-მეგობრული ბრენდი შექმნა.

სიახლე მოდელმა ათასობით გულშემატკივარს სოციალური ქსელის საშუალებით გააცნო:

— გულის სიღრმეში ყოველთვის მინდოდა, თეთრეულის საკუთარი ბრენდი შემექმნა. სწავლისა და ბევრი დაკვირვების შემდეგ შევქმენი კიდეც და სწორედ აქ იწყება ჩემი ახალი ისტორია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ღამე თევზაობა ჩირაღდნის საშუალებით; 2. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 3. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 4. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 5. შენობის სახურავად გამოყენებული თხელი ფიცარი ძველად; 9. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 11. ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 12. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი; 14. ოქროსფერში ამოვლებული ძაფი; 18. ქიმიური ელემენტი, აირი; 19. ზღვისპირა კურორტი ყირიმში.

**თარაზულად:** 4. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 5. ქვიშიანი უდაბნო შუა აზიაში; 6. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 7. მაწანწალის, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 8. საჯდომი ნერვის ანთება; 10. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 13. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 15. ისრაელის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი უნგრელი მხატვარი; 17. დიდი ტანის აფრიკული ანტილოპა; 20. ცნობილი ქართველი მეტალურგი, აკადემიკოსი; 21. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 23. კორიდის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*